

- მ. თევდორაძე, ლ. პაპავა, ნ. ნასყიდაშვილი,
- ქ. წიწილაშვილი, ა. მარლიშვილი

პომპიუტერული საბანკო სისტემები

მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოების
შესასრულებლად “BankNet” პროგრამის საფუძველზე

„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

- გ. თევდორაძე, ლ. პაპავა, ნ. ნასყიდაშვილი,
- შ. წიწილაშვილი, ა. მარლიშვილი

კომპიუტერული საბანკო სისტემები

მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოების
შესასრულებლად “BankNet” პროგრამის საფუძველზე



რეგისტრირებულია სტუ-ს
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს
მიერ. 29.04.2009, ოქმი №4

თბილისი
2009

მოცემული მეთოდური მითითებები განკუთვნილია ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად საგანში “კომპიუტერული საბანკო სისტემები” და მოიცავს ცხრა ლაბორატორიულ სამუშაოს, რომლებიც იძლევიან საშუალებას შესწავლილ იქნას საბანკო კომპიუტერულ პროგრამასთან მუშაობა და აგერთვე ბანკის ბუღალტრული აღრიცხვა.

რეცენზენტი სრ. პროფესორი პ. ქამბამიძე

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2009

ISBN 978-9941-14-620-6

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.



შესავალი

მოცემული მეთოდური მითითებები განკუთვნილია ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად საგანში “კომპიუტერული საბანკო სისტემები” და დაფუძნებულია ბანკში საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების კომპიუტერულ პროგრამა “BankNet”-ზე. ეს პროგრამა მოწოდებულია “ORIS”- კომპანიის მიერ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ ამ კომპანიის ხელმძღვანელებს - დავით და გიორგი გოთოშიებს. მადლობას მოვახსენებთ მათ დახმარებისათვის აღნიშნული პროგრამის ათვისებასა და სასწავლო პროცესში მისი გამოყენების ნებართვისა და დანერგვისათვის. აგრეთვე დიდ მადლობას მოვახსენებთ სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ეკონომიკური ინფორმატიკის მიმართულების უფროსს ბატონ ნოდარ ლომინაძეს. მისი უდიდესი მხარდაჭერისა და დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა „BankNet“-პროგრამის შესწავლა და ამ მეთოდური მითითებების მომზადება. ამასთან ერთად მადლობა გვინდა მოვახსენოთ „ეკონომიკური ინფორმატიკის“ სპეციალობის იმ კურსდამთავრებულებს, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა აღნიშნული სისტემის დანერგვაში სასწავლო პროცესში. ესენია: თ.თავამაიშვილი, ა.ბაჯიაშვილი, ე.სალოთხუციშვილი, ნ.დავითაია, პ.ლომინაძე, გ.გიორგაძე.


მეთოდური მითითებები შეიცავს ცხრა ლაბორატორიულ სამუშაოს. პირველ ლაბორატორიულ სამუშაოში აღწერილია პროგრამა “BankNet”-თან მუშაობის საფუძვლები. მეორე ლაბორატორიული სამუშაო განკუთვნილია გალუტასთან მუშაობის შესასწავლად. მესამე ლაბორატორიული სამუშაოში განხილულია ბანკის ანგარიშთა გეგმა – საბალანსო, ბალანსგარეშე და კლიენტთა ანგარიშები. მოყვანილია ამ ანგარიშებთან მუშაობის მეთოდი. მეოთხე ლაბორატორიულ სამუშაოში მოცემულია პროგრამა “BankNet”-ში საბუღალტრო გატარებების შესრულების წესები. განხილულია საბალანსო და ბალანსგარეშე გატარებები. მეხუთე ლაბორატორიულ სამუშაოში აღწერილია გატარებების შედეგების ასახვა ბრუნვებში. მეექვსე ლაბორატორიულ სამუშაოში აღწერილია საბუღალტრო ოპერაციები და მათი აგების წესები. მეშვიდე ლაბორატორიულ სამუშაოში განხილულია ხელფასის უწყისი და მასთან მუშაობა. მერვე სამუშაოში აღწერილია “BankNet”- პროგრამაში ფორმების აწყობა. მეცხრე ლაბორატორიულ სამუშაოში კი განხილულია ცხრილების აწყობა.

ლაპორატორიული სამუშაო №1

პროგრამა “BankNet”-თან მუშაობის საფუძვლები

პროგრამა ”**BankNet**”-ში შესასვლელად სამუშაო მაგიდაზე ვირჩევთ შესაბამის  ლილაკს, მასზე ორჯერ დაჭრის შედეგად გამოდის ეკრანი “WBANK” საფირმო ნიშნით. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში დაყენებულია პაროლი, ვუთითებთ პაროლს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პირდაპირ ვაჭროთ “Ok”-ს.

სამუშაო მაგიდაზე გამოდის სისტემის ძირითადი ეკრანი (სურ.1). მისი მთავარი მენიუ შეიცავს შემდეგ პუნქტებს: ფაილი, რედაქტირება, ოპერაციები, ფონდები, ცხრილი, ფანჯარა.



სურ. 1

პუნქტი ფაილში არის ორი ქვეპუნქტი: პრინტერის პარამეტრები, საიდანაც ხდება პრინტერის პარამეტრების მითითება, და პროგრამიდან გასვლა - მისი საშუალებით შესაძლებელია პროგრამის დახურვა.

პუნქტი ფანჯარა მოიცავს შემდეგ ქვეპუნქტებს:


- **Moduls Box** – ლილაკების პანელის ჩართვა-გამორთვა;
- **Tool Box** - კალკულატორის, კალენდრისა და გალუბის კურსების ლილაკების ჩართვა-გამორთვა;
- **Day-Time** – საანგარიშო პერიოდის ლილაკის ჩართვა-გამორთვა;
- **Tile** – ეკრანების თანამიმდევრულად განლაგება;
- **Cascade** – ეკრანების კასკადურად განლაგება.

განხილული მირითადი მენიუს ქვემოთ განლაგებულია დილაკები: ანგარიშები, საბალანსო ანგარიშები, ბალანსგარეშე ანგარიშები, საბალანსო გატარებები, ბალანსგარეშე გატარებები, ოპერაციები, გამომავალი ფორმები, ვალუტა/ვალუტის კურსი, კადრები/ხელფასი, კლიენტები, ეროვნული ბანკი, საოპერაციო დღე, კალკულატორი, კალუბდარი, ვალუტის კურსები. თუ რომელიმე დილაკთან მივიტანთ მაუსის მაჩვენებელს და შევაჩერებთ, ვიხილავთ მის დასახელებას. აქვე ჩანს თუ რომელი საანგარიშო პერიოდით ხორციელდება ოპერაციები სისტემის მიერ.

სისტემის პარამეტრები

მირითადი მენიუს პუნქტი “ფონდები”-დან ვირჩევთ ქვეპუნქტი “სისტემის პარამეტრებს”. ამის შედეგად გამოდის ფანჯარა (სურ.2), რომელიც შეიცავს 7 ჩანართს, ესენია:

1. პარამეტრები;
2. ასლის აღება;
3. ასლის აღდგენა;
4. ფორმატირება;
5. E-mail;
6. ეკრანები;
7. კორექტირება.



სურ. 2

პუნქტი “სისტემის პარამეტრები”-ს ჩანართში “პარამეტრები” ბანკთაშორისი ანგარიშსწორების პანელი შეიცავს ველებს, სადაც მითითებულია ანგარიშები მიღებისათვის, გაგზავნისათვის და გაურკვეველი თანხებისათვის.

პანელი სალარო შეიცავს სალაროს სალარე და საგალუტო ანგარიშების ველებს.

პანელ ბანკის დასახელებაში მითითებულია ბანკის ქართული და ინგლისური დასახელებები.

ასევე ამ ჩანართში არის შემდეგი ველები:

- ანგარიშსწორების ცენტრი (ბანკის საკორესპონდენტო ანგარიში);
- საიდენტიფიკაციო კოდი (ბანკისათვის საგადასახადოს მიერ მინიჭებული კოდი);
- საკურსო სხვაობის ანგარიში;
- ბანკის პირველი პირი;
- ბანკის მეორე პირი.

ჩანართ პარამეტრებში არის აგრეთვე შემდეგი ლილაკები: **ბანკების სია, ფილიალების სია, სალაროს სიმბოლოები, ანგარიშები უცხო ბანკში და ანალიზური კოდიფიკატორი.**

ლილაკ “ბანკების სია”-ზე დაჭერით გამოდის შესაბამისი ლიალოგური ფანჯარა, რომელშიც შეგვიძლია დავამატოთ ახალი ბანკის სახელი, კორექტირება გავუკეთოთ არსებულს ან წავშალოთ იგი. ძიების ლილაკის მეშვეობით შეგვიძლია ვიპოვოთ ბანკი დასახელების მიხედვით.

ლილაკ “ფილიალების სია” არჩევით, გამოდის ფანჯარა “ბანკების სია”-ზი არსებული ბანკების ფილიალების სიით, სადაც შეგვიძლია ჩავატაროთ წინა ფანჯრის ანალოგიური ოპერაციები.

ლილაკზე “ანგარიშები უცხოურ ბანკში” შესაძლებელია იმ “ნოსტრო” ანგარიშების ნახვა, რომელიც გახსნილია “ბანკების სია”-ში არსებულ ბანკებში. ასევე შესაძლებელია ახალი ნოსტრო ანგარიშის გახსნა, კორექტირება ან წაშლა.

სალაროს სიმბოლოების ლილაკზე დაჭერისას გამოდის შემდეგი ფანჯარა (სურ.3).


სალაროს სიმბოლოები		
სიმბო	შესასახლე	ბრნება
1 შემოსავლები ნაკარი ამონაზბერდან	სალარი დებეტი	
2 შემოსავლები ყველა სახის ტრანსპორტიდან	სალარი დებეტი	
3 შემოსავლები სანახაობითი და საყოფაზ. მომსახურე სალარი დებეტი		
4 შემოსავლები კოშენალ და სხვა სახის ბაზარას. და ე სალარი დებეტი		
5 საგადასახადო და საბაზო მოსახურებლები	სალარი დებეტი	
6 შემოსავლები პრივატიზაციიდან	სალარი დებეტი	
7 შემოსავლები მოქალაქეობა ანაბრეგზე	სალარი დებეტი	
8 შემოსავლები იმზური ვალიტის გაყიდვის გზით	სალარი დებეტი	
9 შემოსავლები სესხებს დასაზარეპვე	სალარი დებეტი	
10 შემოსავლები ფასიანი ქარალდების შესაპირად	სალარი დებეტი	
11 შემოსავლები კომერციული ბანკებიდან	სალარი დებეტი	
12 შემოსავლები ეროვნული ბანკის ბანკოფილებებიდან	სალარი დებეტი	
13 სალაროს ნაზო პარიოდის დასაწილები	სალარი დებეტი	
32 სხვადასხვა შემოსავლები	სალარი დებეტი	
40 ბანკების ხელსაბაზზე, არამიზასა და სრიალდებზე	სალარი ერედიტი	
41 ბანკების აენსიბზე	სალარი ერედიტი	
42 გარემოები თანამდებობის	სალარი ერედიტი	

სურ. 3

ფანჯარაში მოცემულია სალაროს სიმბოლოები. ეს სიმბოლოები დებულობს მნიშვნელობებს 1-დან 69-მდე. სალაროს სიმბოლო აღნიშნავს სალაროში ფულის მოძრაობის საფუძველს. ამ ფანჯარაში არსებული ინსტრუმენტების პანელზე მოთავსებული დილაკების საშუალებით, შესაძლებელია ახალი სალაროს სიმბოლოს დამატება, არსებულის კორექტირება ან წაშლა.

სისტემის მომხმარებლები

პროგრამა “BankNet”-ის მომხმარებლებს პროგრამასთან მუშაობის განსხვავებული უფლებები აქვთ. იერარქიულად ისინი იყოფიან ოთხ ჯგუფად: ყველაზე მეტ უფლებას მომხმარებელს აძლევს ადმინისტრატორის სტატუსი, შემდეგ საფეხურზე დგას მომხმარებელი, რომელსაც ენიჭება მთავარი ბუღალტრის სტატუსი. უფრო ნაკლები უფლებებით სარგებლობს განყოფილების უფროსი, ხოლო ყველაზე დაბალ საფეხურზე დგას განყოფილების თანამშრომლის სტატუსით მყოფი მომხმარებელი. უნდა აღინიშნოს, რომ ერთნაირი სტატუსის მქონე მომხმარებლები ერთმანეთის მიერ შესრულებულ ოპერაციებს ვერ ხედავენ, ხოლო იერარქიულად ზემდგომი სტატუსის მქონე მომხმარებელი აკონტროლებს მის ხელქვეითებს. სქემაზურად ეს იერარქია შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად (სურ. 4).



სურ. 4


პროგრამა “BankNet”-ში ახალი სისტემის მომხმარებლის დამატება ხდება კუნქტურული ფონდებიდან ქვეპუნქტ სისტემის მომხმარებლების არჩევით. ეკრანზე გამოდის სისტემის მომხმარებლების ფანჯარა (სურ. 5).

სურ. 5

განვიხილოთ გამოსული ფანჯარა. იგი შედგება ორი ჩანართისაგან: მომხმარებლები და უფლებები. მომხმარებლების პანელი შედგება შემდეგი ღილაკებისაგან:



დამატების ღილაკი. ამ ღილაკის მეშვეობით ხდება ახალი მომხმარებლის დამატება. მასზე დაჭრის შედეგად გამოდის მომხმარებლის დამატების ღიალოგური ფანჯარა (სურ.6)



სურ. 6

მასში სტატუსის ჩამოშლადი ველიდან ავირჩევთ ახალი მომხმარებელის სტატუსს. განყოფილების უფროსის ან განყოფილების თანამშრომლის არჩევის შემთხვევაში გაჩნდება ველი, სადაც უნდა ჩაიწეროს განყოფილების ნომერი 0-დან — 99-მდე ღიაპაზონში. შემდეგ შეგვევს მომხმარებლის გვარი, სახელი და პაროლი. ქვემოთ მოთავსებულ პანელში - ”მომხმარებელს აქვს უფლება” აღმის

დაყენებით მოვნიშნავთ იმ უფლებებს, რომლითაც შემდგომ ისარგებლებს მომხმარებელი, ასევე მივუთითებთ, თუ რა სახის ანგარიშის გახსნის უფლება ექნება მას: დიასი, დახურულის თუ დაჯავშნულის და, გაჭერთ **OK** დილაპს.



კორექტიონების დილაპით შეგვიძლია კორექტივი შევიტანოთ მომხმარებელის შესახებ შესახებ მონაცემებზი, მაგრამ ვერ შევცვლით სტატუსს და განვითაროთ განვითაროთ.



თანამშრომლის გაუქმების დილაპი.



განახლების დილაპი.



დილაპი - “აღვადგინოთ/გამოვიყვანოთ მომხმარებლებლები **“BankNet”**-დან”.

განვიხილოთ ჩანართი “უფლებები”.

ამ ჩანართიდან ხდება ჩვენ მიერ არჩეული მომხმარებლისათვის კონკრეტული უფლებების მინიჭება. ეკრანზე გამოდის მე-7 სურათზე გამოსახული ფანჯარა.

მასში მოცემულია პროგრამა **“BankNet”**-ის მთავარ მენიუში არსებული პუნქტებისა და ეკრანზე გამოსული ფანჯრების ინსტრუმენტების პანელზე მდებარე ყველა დილაპი. თითოეული მათგანის გასწვრივ ალმის დაყენებით შეგვიძლია განვითაროთ, თუ რომელ ფანჯრებთან და დილაკებთან მუშაობის უფლება აქვს კონკრეტულ მომხმარებელს.

მომხმარებელი		შეცვლა
<input checked="" type="checkbox"/>	J0640000	100,000
<input checked="" type="checkbox"/>	J0640000	200,000
<input checked="" type="checkbox"/>	J0640000	1,000,000
<input checked="" type="checkbox"/>	სასახლის მომხმარებელი	1,000,000
<input checked="" type="checkbox"/>	Currency	1,000,014
<input checked="" type="checkbox"/>	Limit On ObjA	1,000,015
<input checked="" type="checkbox"/>	000000 (USD)	1,000,016
<input checked="" type="checkbox"/>	000000 (GEL)	1,000,017
<input checked="" type="checkbox"/>	ბაზარული	1,000,018
<input checked="" type="checkbox"/>	ბაზარული დამატებითი UGB	1,000,019
<input checked="" type="checkbox"/>	J0640000 ხაზსახსნა	1,000,020
<input checked="" type="checkbox"/>	00000 გვერდის	1,000,021
<input checked="" type="checkbox"/>	J0640000 გვერდის ბაზი	1,000,022
<input checked="" type="checkbox"/>	00000 გვერდის ბაზი დამატებითი	1,000,023
<input checked="" type="checkbox"/>	სამიმდებარებელი ბაზი	1,000,024
<input checked="" type="checkbox"/>	00000 გვერდი	1,000,001
<input checked="" type="checkbox"/>	L06300 Loans	1,000,000
<input checked="" type="checkbox"/>	J0640000 [Clients]	1,000,700
<input checked="" type="checkbox"/>	J064000 ანგარიში [Current Accounts]	1,000,712
<input checked="" type="checkbox"/>	L06300 [Loans]	1,000,000
<input checked="" type="checkbox"/>	E-L06300 გვერდი	1,000,000
<input checked="" type="checkbox"/>	L06300 არქივი [Loan Archive]	1,000,719
<input checked="" type="checkbox"/>	J064000 ლინკი ლინკი	1,000,000

ეს აისახება შემდეგნაირად. პირადი ანგარიშების ფანჯარაში ქვედა მარჯვენა მხარეს ნაჩვენებია მონიშნულ ანგარიშზე პასუხისმგებელი იმ პირის სახელი და გვარი, რომელიც პასუხისმგებელია კონკრეტულ ანგარიშზე ჩატარებული გატარებების სისწორეზე ამონაწერის გაცემის დროს. მის ქვემოთ კი მოცემულია ამ ანგარიშზე მუშაობის უფლების მქონე თანამშრომლის სახელი და გვარი (სურ.8).



სურ. 8

ლაბორატორიული სამუშაო № 2

ვალუტა

იმისათვის, რომ პროგრამა “BankNet”-ში ვიმუშაოთ ვალუტასთან, საჭიროა ძირითად მენიუდან “ფონდები” ავირჩიოთ პუნქტი “ვალუტა” ან გამოვიყენოთ კლავიშთა კომბინაცია “ctrl-8”. ასევე შეგვიძლია ინსტრუმენტების პანელიდან გამოვიყენოთ “ვალუტა/საკურსო სხვაობის” ღილაკი.

სამუშაო მაგიდაზე ვიხილავთ ეკრანს, რომელიც შეიცავს ორ ჩანართს (სურ.9).

ვალუტა	დასახელება	რაოდინ	სულ	შპრინტის სულ	რაყიდვის სულ
USD აშშიული აშშარი	1	2.50000000	0.00000000	0.00000000	
DEM გერმანული მარკა	1	1.00030000	0.00000000	0.00000000	
GBP ინგლისონ ფუნტ სტერ.	1	3.14970000	0.00000000	0.00000000	
RUR რუსული რაბინი	1	0.07210000	0.00000000	0.00000000	
SHF შვეიცარული შრანები	1	0.00000000	0.00000000	0.00000000	
CAD კანადური დოლარი	1	0.00000000	0.00000000	0.00000000	
JPY იაპონური იანი	10	0.17260000	0.00000000	0.00000000	
FIM ფინური მარკა	1	0.00000000	0.00000000	0.00000000	
AUD ავსტრალიური დოლარი	1	0.00000000	0.00000000	0.00000000	
BEF ბელგიური ფრანკი	1	0.00000000	0.00000000	0.00000000	
NLG ჰალდერი ჰელდერი	1	0.00000000	0.00000000	0.00000000	
DKK დანიური კრონი	1	0.00000000	0.00000000	0.00000000	
NOK ნორვეგიული კრონი	1	0.00000000	0.00000000	0.00000000	
GRD 100 გარნერი ტრაპა	100	0.57420000	0.00000000	0.00000000	
EUR ევრო	1	1.95650000	0.00000000	0.00000000	
		0.00000000	0.00000000	0.00000000	
		0.00000000	0.00000000	0.00000000	
		0.00000000	0.00000000	0.00420000	
		0.00000000	0.00000000	0.00000000	
		0.00000000	0.00000000	0.00000000	
		0.00000000	0.00000000	0.00000000	

სურ. 9

ესენია:

1. ვალუტა;
2. ვალუტის დინამიკა.


განვიხილოთ პირველი მათგანი – ჩანართი “ვალუტა”.

ეს ჩანართი შეიცავს ფანჯარას, სადაც მოცემულია ვალუტების სია - მათი აბრევიატურა, დასახელება, რაოდენობა, კურსი ბაზურ ანუ, ჩვენ შემთხვევაში, ქართულ ლართან მიმართებაში, შეძენის კურსი და გაყიდვის კურსი. ზედა მარჯვენა კუთხეში ჩანს თარიღი, რომლისთვისაც მოცემულია ვალუტის კურსი. თარიღის ცვლით ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ, მონიშნული ვალუტის რა კურსი იყო დაფიქსირებული ჩვენთვის სასურველ დღეს.

ჩანართი შემდეგ ღილაკებს შეიცავს:

-  **დამატების ღილაკი** – მისი საშუალებით სიაში ვამატებოთ ახალ ვალუტას. ამისათვის ვაჭერო აღნიშნულ ღილაკს და ექრანზე გამოსულ ფანჯარაში შეგვაქვს მონაცემები ახალი ვალუტის შესახებ: აბრევიატურა, დასახელება, დროშის ფაილი, რაოდენობა და კურსი: შეძენის და გაყიდვის.
-  **კორექტირების ღილაკი** – ამ ღილაკის მეშვეობით შეგვიძლია გარკვეული ცვლილებები შევიტანოთ ვალუტების სიაში.
-  **წაშლის ღილაკი** – მისი საშუალებით შესაძლებელია სიიდან ნებისმიერი ვალუტის ამოშლა გარდა ბაზური ვალუტისა.
-  **ბეჭდების ღილაკი** – მასზე დაჭერით ხორციელდება ვალუტების სიის ბეჭდვა.

მეორე ჩანართში დასახელებით ”ვალუტის დინამიკა” (სურ. 10) აისახება ჩვენ მიერ ვალუტების სიიდან არჩეული ნებისმიერი ვალუტის კურსი დროის გარკვეულ პერიოდში, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს. დროის პერიოდი მიეთითებულია მარჯვენა ზედა ნაწილში.



თარიღი	საფრთხოება	კორსი	მართველი	გადადოს კორსი
4.01.2002	1	2.11000000	0.00000000	0.00000000
5.01.2002	1	2.50000000	0.00000000	0.00000000
7.01.2002	1	2.50000000	0.00000000	0.00000000
2.05.2002	1	2.50000000	0.00000000	0.00000000
3.05.2002	1	2.50000000	0.00000000	0.00000000
4.05.2002	1	2.50000000	0.00000000	0.00000000
7.05.2002	1	2.50000000	0.00000000	0.00000000
8.05.2002	1	2.50000000	0.00000000	0.00000000
10.05.2002	1	2.50000000	0.00000000	0.00000000
11.05.2002	1	2.50000000	0.00000000	0.00000000
15.05.2002	1	2.50000000	0.00000000	0.00000000
4.06.2002	1	2.50000000	0.00000000	0.00000000
7.06.2002	1	2.50000000	0.00000000	0.00000000
22.06.2002	1	2.50000000	0.00000000	0.00000000
27.06.2002	1	2.50000000	0.00000000	0.00000000
21.12.2002	1	2.50000000	0.00000000	0.00000000
22.12.2002	1	3.00000000	0.00000000	0.00000000

სურ.10

ვალუტასთან მუშაობა ასევე შესაძლებელია მთავარი მენიუს ინსტრუმენტების პანელზე განთავსებული ღილაკის ”ვალუტის კურსების” არჩევით. გამოსული დიალოგური ფანჯარა შეიცავს შემდეგ ჩანართებს (სურ.11):

1. ვალუტა;
2. ვალუტის დინამიკა;
3. კონვერტაცია.

პირველი ორი ჩანართი მსგავსია ზემოთ განხილულისა, განსხვება მხოლოდ ისაა, რომ ინსტრუმენტების პანელის ნაცვლად აქ არის ვალუტების კურსის შერჩევის ველი, რომელშიც ჩამოშლადი სიიდან სასურველი ვალუტის

არჩევის შემდეგ ეკრანზე გამოდის ამ ვალუტის მიმართ სიაში არსებული ვალუტის კურსი კონკრეტული თარიღისთვის.

ID	Name	Current rate	Previous rate	Date	Change
GEL	ქართველი ლარი	1	0.00000000	03.05.06 12:00	0.00000000
USD	აშშ დოლარი	1	2.50000000	00.00.0000	0.00000000
DEM	გერმანიული მარკა	1	1.00030000	00.00.0000	0.00000000
GBP	ინგლის პანგლი	1	3.14970000	00.00.0000	0.00000000
RUR	რუსული რუბლი	1	0.07210000	00.00.0000	0.00000000
SHP	სომები დირაქი	1	0.00000000	00.00.0000	0.00000000
CAD	კანადული დოლარი	1	0.00000000	00.00.0000	0.00000000
JPY	იაპონული იერი	10	0.17260000	00.00.0000	0.00000000
FIM	ფინეთი დარიალი	1	0.00000000	00.00.0000	0.00000000
AUD	ავსტრალიული დოლარი	1	0.00000000	00.00.0000	0.00000000
BEF	ბელგიუმული ბერტა	1	0.00000000	00.00.0000	0.00000000
NLG	ნიდერლანდული გირგანი	1	0.00000000	00.00.0000	0.00000000
DKK	დაնიული კრონი	1	0.00000000	00.00.0000	0.00000000
NOK	ნორვეგიული ნიკი	1	0.00000000	00.00.0000	0.00000000

სურ.11

ჩანართ კონვერტაციაში გადასვლის შედეგად ეკრანზე აისახება შემდეგი ფანჯარა (სურ.12).

სურ. 12

გელში “კურსი” ჩამოშლადი სიიდან, ვირჩევთ ვალუტას რომლის მიმართაც გვაინტერესებს სასურველი ვალუტების კურსი კონკრეტული თარიღისათვის. მათი შერჩევა ხდება ფანჯრის შუაში არსებული ველების ჩამოშლადი სიებიდან. გარდა ამისა, ქვემოთ მოთავსებულ ველებში აისახება არჩეული ორი ვალუტის კურსი ერთმანეთის მიმართ.

ლაბორატორიული სამუშაო № 3

ანგარიშთა გეგმა

პროგრამა „**BankNet**” - ში განიხილავენ სამი სახის ანგარიშს: საბალანსო ანგარიში, ბალანსგარეშე ანგარიში და პირადი ანგარიში.

საბალანსო ანგარიშები.

საბალანსო ანგარიშთა გეგმა მოიცავს ბანკის საბალანსო ანგარიშებს, რომელიც ასახულია ბანკის აქტივები და პასივები. ანგარიშები დაყოფილია კლასებად ანუ ჯგუფებად (თითოეული ჯგუფის ნომერი ორნიშნაა და მნიშვნელობებს ღებულობს 10-დან 99-მდე), თითოეულ ჯგუფში შედის რამდენიმე სინოჟური სამნიშნა, ოთხნიშნა და ა.შ. ანგარიში.

პროგრამა „**BankNet**”-ში საბალანსო ანგარიშის ნახვა შესაძლებელია მთავარი მენიუს პუნქტიდან „ფონდები”, ქვეპუნქტის „საბალანსო ანგარიშები” ან ინსტრუმენტის პანელიდან ღილაკის არჩევით. ამის შედეგად ეკრანზე გამოდის დიალოგური ფანჯარა (სურ. 13), რომელიც შედგება სამი ჩანართისაგან: საბალანსო ანგარიში, ბალანსი და ბრუნვითი უწყისი.

საბალანსო ანგარიში		გადახელება	საკალებო	ტიპი	რაციოლი/გენერაცია	ვალიდურობა	რაციოლი/გენერაცია
10		სალარო, ქომის დამსახურით განკვეთის ანგარიშით საკალებო ეროვნული ნაღვი ფაზი მიმდინარეობის ეროვნული ვალუტით		აპტ			
100		ნაღვი ფაზი მიმდინარეობის ეროვნული ვალუტით		აპტ			
1002		ნაღვი ფაზი მიმდინარეობის ეროვნული ვალუტით		აპტ			
1003		ფულადი საბალანსო განკვეთით		აპტ			
1004		კვანძობრივი სარაოგანით საბალანსო განკვეთით		აპტ			
1005		განკვეთით და მოცემით განკვეთით		აპტ			
1006		ფულადი და მოცემით განკვეთით		აპტ			
1006 01		ფულადი და მოცემით განკვეთით		აპტ			
101		ნაღვი ფაზი მიმდინარეობის ეროვნული ვალუტით და სხვა საგადასახადო ღოშებით		აპტ			
1013		ქომის დამსახური		აპტ			
1014		ფულადი საბალანსო განკვეთით		აპტ			
1014 02		lari bankomathi		აპტ			
1015		კვანძობრივი სარაოგანით საბალანსო განკვეთით		აპტ			
1016		განკვეთით და მოცემით განკვეთით		აპტ			
1018		სხვა საგადასახადო ღოშებით		აპტ			
105		ქომის დამსახურით განკვეთით		აპტ			
1051		ქომის დამსახურით განკვეთის სამართლებული რეზერვით		აპტ			
1052		ქომის დამსახურით განკვეთის სამართლებული რეზერვით ანგარიშით		აპტ			
106		ქომის დამსახურით განკვეთი ეროვნულ განკვეთ უმრესი ვა		აპტ			
1062		ქომის დამსახურით განკვეთის სამართლებული რეზერვით ანგარიშით საკან	<input checked="" type="checkbox"/>	აპტ			
11		ოპრო		აპტ			
110		ოპრო		აპტ			
1101		საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის რეგი		აპტ			
1102		საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის რეგი		აპტ			

სურ. 13

ახალი ანგარიშის (კლასი ან სუბანგარიში) შესაქმნელად გამოსულ ფანჯარაში შევდივართ მარცხენა სვეტში, რომელსაც ჰქვია „ანგარიში“. თუ ვქმნით ახალ სუბანგარიშს, ვირჩევთ იმ ანგარიშს, რომელშიც ვქმნით ახალ ქვეანგარიშს.

ამის შემდეგ ვაჭერთ დამატების ღილაკს და მივუთითებთ სუბანგარიშის ნომერს (აუცილებელია ანგარიშის ნომრის პირველი ოთხი ციფრი ემთხვეოდეს იმ ანგარიშის ნომერს, რომელშიც ვქმნით ამ სუბანგარიშს, ამასთანავე, ეს ნომერი უნდა იყოს უნიკალური).

REFRESH (განახლების) ღილაკს და მონიშნული ველის გასწვრივ დასახელების განაყოფში ვაჭერთ ახლადშექმნილი ანგარიშის დასახელებას. ეკრანის მარჯვენა ნაწილში შეგვიძლია შევიტანოთ დამატებითი ინფორმაცია ამ ანგარიშის შესახებ, მაგალითად: აქტიურია იგი თუ პასიური, სავალუტოა თუ არა და ა.შ.

აქვე ინსტრუმენტების პანელიდან შესაძლებელია ანგარიშის კორექტირება ღილაკის და ანგარიშის გაუქმება ღილაკის მეშვეობით. მთლიანი ანგარიშთა სის ამობეჭდვა ან მისი გამოტანა ეკრანზე შესაძლებელია ღილაკის მეშვეობით.

განვიხილოთ მაგალითი: შევქმნათ 1203 ანგარიშის სუბანგარიში - “ვაკე-საბურთალოს გამგეობისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები”.

ამისათვის მოგნიშნოთ 1203 ანგარიში და დავაჭიროთ **დამატების** ღილაკს. მონიშნული ანგარიშის ქვემოთ გაჩნდება შეტანის ველი, რომელშიც უნდა მივუთითოთ სუბანგარიშის ნომერი. პირველი ოთხი ციფრი უნდა იყოს 1203 ანგარიშის ანალოგიურად, ხოლო ერთი პოზიციის გამოტოვების შემდეგ უნდა დაიწეროს შემდგომი ციფრები, მაგალითად, **1203 01**. **Refresh** ღილაკზე დაჭერით დასახელების ველში გაჩნდება 1203 ანგარიშის ახალი სუბანგარიშის დასახელების შესატანი ველი, ანუ 1203 01 ანგარიშის დასახელების შესატანი ველი. იმისთვის, რომ შევიტანოთ შექმნილი სუბანგარიშის დასახელება, ამ ველზე ორჯერ უნდა დავაჭიროთ. ეკრანზე გამოჩნდება მოციმციმე კურსორი, შევიტანოთ 1023 01 სუბანგარიშის დასახელება, კერძოდ “ვაკე-საბურთალოს გამგეობისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები” (სურ. 14).

არჩევითი	დასახელება	საკალებო	შემთხვევა
1101	საერთაშორისო სტაციონარული განაკვეთის რძინი		აპტ
1102	საერთაშორისო სტაციონარული განაკვეთის რძინი		აპტ
12	სახელმწიფო ინსტიტუციისათვის მიცემული სესხები		აპტ
120	სახელმწიფო ინსტიტუციისათვის მიცემული მოქალაქიანი სესხები ერთობლივ ვალუტით		აპტ
1201	ზონასთა სამინისტროსათვის მიცემული მოქალაქიანი სესხები		აპტ
1202	დანართები სამინისტროდასა და დასართავის მიცემული მოქალაქიანი სესხები		აპტ
1203	ადგილობრივი მმართველობის რეგიონისარის მიცემული მოქალაქიანი სესხები		აპტ
1203 01	კაბინეტისა და მინისტრის მიცემული მოქალაქიანი სესხები	<input checked="" type="checkbox"/>	აპტ
1209	რეიტინგისათვის სახელმწიფო ინსტიტუციის მიმღებადი არჩევითი		აპტ
121	სახელმწიფო ინსტიტუციისათვის მიცემული მოქალაქიანი სესხები უცხოური ვალუტით	<input checked="" type="checkbox"/>	აპტ
1211	ზონასთა სამინისტროსათვის მიცემული მოქალაქიანი სესხები	<input checked="" type="checkbox"/>	აპტ

საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია რომელიმე არსებული ანგარიშის კორექტირება. ამისათვის მოვნიშნოთ ანგარიშის დასახელება და დავაჭიროთ კორექტირების ღილაკზე. დასახელების ველი გააქტიურდება და მომხმარებელს საშუალება ეძლევა შეიტანოს ცვლილებები დასახელებაში. ანალოგიურად ხდება ანგარიშის ნომრის კორექტირებაც, ოდონდ ამ შემთხვევაში დასახელების ნაცვლად საჭიროა ანგარიშის ნომრის მოვნიშვნა.

ანგარიშის წასაშლელად მოვნიშნოთ ანგარიში და დავაჭიროთ ანგარიშის გაუქმების ღილაკს. ანგარიში ამოიშლება საბალანსო ანგარიშების სიიდან.

ბალანსგარეშე ანგარიშები.

ბალანსგარეშე ანგარიშების ნომერი შედგება ოთხნიშნა რიცხვებისაგან. ეს ის ანგარიშებია, რომელიც არ შედიან ბანკის ბალანსში. ბალანსგარეშე ანგარიშების გახსნა შესაძლებელია პუნქტ „ფონდებიდან“ ქვეპუნქტ „ბალანსგარეშე ანგარიშების“ არჩევით ან ინსტრუმენტების პანელიდან ღილაკით. გამოდის სურ. 15 ნაწვენები ფანჯარა, რომელიც შედგება სამი ჩანართისაგან: ანგარიშები, ნაშთები, ბრუნვები.

ანგარიში		დასახელება
0201	აქციების და ინდუსტრიალური	
0202	გადამუშავებული გარამიერი	
0203	მიზანების უზრუნველყოფის სახით გადამუშავებული	
0204	მიზანების უზრუნველყოფის სახით მიზანებული	
0205	მიზანების უზრუნველყოფის სახით მიზანებული	
0206	სავა კორობითი ვალიდურულებები	
0301	აღვაული ფინანსი ვალიდურულებები	
0302	გასაცავის მიზანის მიზან მიზანებული ფინანსი ვა	
0303	გასაცავად მოსალოდნელი ფინანსი კადალდები	
0304	გასაყიდული განეუთიხილი ფასიანი კადალდები	
0305	ნაღდ ვალიდურისთან დაკავშირებული რაორისიერი	
0000	თეთა - თეთა თეთა თეთა თეთა თეთა	

სურ. 15

ახალი ანგარიშის დამატება, წაშლა და კორექტირება ხდება იმგვარადგვა, როგორც საბალანსო ანგარიშებში. განსხვავება ისაა, რომ აქ ახალი ანგარიშის ნომერი ოთხთანრიგიანი რიცხვია. აქ პირდაპირ მოცემულია ანალიზური ანგარიშები.

პირადი ანგარიშები.

პირადი ანგარიშის ნახვა და შექმნა შესაძლებელია პუნქტ „ფონდებიდან ქვეპუნქტ კლიენტების არჩევით ან ინსტრუმენტების პანელზე  ღილაკზე

დაჭერით. პირადი ანგარიშის ნახვა და გამოყენება შესაძლებელია პუნქტ ფონდებიდან ქვეპუნქტ ანგარიშების არჩევით ან ინსტრუმენტების პანელზე ღილაკზე




დაჭერით.

ყოველი ახალი კლიენტის პირადი ანგარიშის გასახსნელად მისი მონაცემები უნდა შევიტანოთ კლიენტების სიაში. ამისათვის პუნქტ „ფონდები“-დან ვირჩევთ ბრძანებას „კლიენტი“ ან ვაჭერთ კლიენტის ღილაკზე.

ეკრანზე გამოვა ფანჯარა (სურ. 16), რომელშიც მარცხენა მხარეს მოცემულია კლიენტთა სია.

ამ ფანჯარის ინსრუმენტების პანელზე მოთავსებული ღილაკებით შეგვიძლია სხვადასხვა მოქმედება განვახორციელოთ კლიენტის მონაცემების დასამუშავებლად.



სურ. 16



— დამატების ღილაკის გამოყენებით შეგვიძლია კლიენტთა სიაში ჩავამატოთ ახალი კლიენტის მონაცემები. მასზე დაჭერით სიაში გაწნდება ახალი ველები, სადაც უნდა შევიტანოთ შესაბამისი კლიენტის რიგითი ნომერი და სახელი.



— ეს ლილაკი საშუალებას გვაძლევს კორექტირება გავუკეთოთ უკვე არსებულ კლიენტის მონაცემებს.



— მონიშნული კლიენტის მონაცემების წასაშლელად ვიყენებით გაუქმების ლილაკს.



— ბეჭდვის ლილაკის მეშვეობით შეგვიძლია დაგბეჭდოთ ყველა ან მონიშნული კლიენტის მონაცემები.



— ძებნის ლილაკი საშუალებას გვაძლევს გამოსულ ძიების ფანჯარაში მოვძებნოთ სასურველი კლიენტი სახელის, ნომრის, ტელეფონის ნომრის ან სხვა კრიტერიუმის მიხედვით. ამისათვის საჭიროა შესაბამისი ჩანაწერის გასწრივ ჩავრთოთ საჭირო გადამრთველი. გამოსულ ველში კი შევიტანოთ ძიების მონაცემი.



— ფილტრაციის ლილაკი საშუალებას გვაძლევს გაფილტროთ კლიენტთა სია ტიპის, მარეგისტრირებელი ორგანოს, მისამართის, მახასიათებელის და სხვა პირობების მიხედვით შესაბამისი აღმების ჩართვით, ხოლო მარჯვნივ გამოსულ შეტანის ველში მივუთითოთ გაფილტვრის პირობა.



— ეს ლილაკი საშუალებას გვაძლევს ავაწყოთ კლიენტების სია ნომრის, დასახელების, ზრდადობის ან კლებადობის მიხედვით შესაბამისი გადამრთველის ჩართვით.



განახლების ლილაკი. გამოიყენება ეკრანის განახლებისათვის.

ზემოთ ნაჩვენები ფანჯრის (სურ.16) მარჯვენა ნაწილი შედგება ორი - ზედა და ქვედა ნაწილებისაგან. ქვედა ნაწილში შეგვიძლია შევიტანოთ დამატებითი ინფორმაცია მონიშნული კლიენტის შესახებ, კერძოდ კი, კლიენტის ტიპი, მისამართი, სხვა მახასიათებლები, მარეგისტრირებელი ორგანო, პირველი პირი, მეორე პირი და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ველს ერთვის ლილაკი, რომელზე დაჭრითაც საშუალება გვეძლევა გამოსული სიიდან ავირჩიოთ შესაბამისი ჩანაწერი.



შეტანილი ინფორმაციის შენახვა ხდება ლილაკის მეშვეობით.

ზედა ნაწილი თავის მხრივ შედგება ორი ჩანართისაგან: **ნაშთები** და **ამონაწერი.**


პირველ ჩანართში, შესაბამისი ლილაკების გამოყენებით, ხდება მონიშნული კლიენტისთვის სხვადასხვა ანგარიშის მიკუთვნება და მოქმედებების განხორციელება.



არსებული ანგარიშის მიკუთვნება კლიენტისათვის. ამ ღილაკის მექანიზმით შეგვიძლია სიაში მონიშნულ კლიენტს მივაკუთნოთ პირადი ანგარიში. გამოსულ ფანჯარაში საშუალება გვეძლევა ავირჩიოთ ვალუტა და ანგარიშის ნომერი.



საბალანსო პირადი ანგარიშის გახსნა. ეს ღილაკი საშუალებას გვაძლევს კონკრეტულ საბალანსო ანგარიშს დავუკავშიროთ კლიენტისათვის გახსნილი პირადი საბალანსო ანგარიში. ეკრანზე გამოდის ფანჯარა (სურ.17).



სურ. 17


მასში შეგვაქვს საჭირო ინფორმაცია აღნიშნული კლიენტის შრსახებ. მივუთითებთ ვალუტას, საბალანსო ანგარიშის ნომერს, რომელსაც ვირჩევთ ჩამოშლადი სიიდან, საჭიროების შემთხვევაში ვაყენებთ ალამს ვალუტირების თარიღით, ვნიშნავთ პასუხისმგებელ პირს, ტიპს, გახსნის თარიღს და საჭიროების შემთხვევაში ნაშთს ბლოკირებისთვის.

ნაშთი ვალუტირებით — ეს არის თანხის რაოდენობა, რომელსაც გატარების შეტანის დროს თარიღთან ერთად უთითებენ და აჩვენებს, თუ რა რაოდენობის თანხა უნდა იყოს ხელუხლებელი კონკრეტულ თარიღამდე.

ნაშთი ბლოკირებისათვის — თანხის ამ რაოდენობას უთითებენ კლიენტის პირადი ანგარიშის გახსნისას, და ის აჩვენებს ფულის იმ მინიმალურ რაოდენობას, რომლის არსებობა აუცილებელია ანგარიშზე. თუ რომელიმე ოპერაციის შესრულება იწვევს ანგარიშზე ისეთი ნაშთის მიღებას, რომელიც ნაკლებია დაბლოკის ნაშთზე, მაშინ ბანკი ამ ოპერაციას არ ასრულებს.

მონაცემების შეტანის შემდეგ ვაჭერთ ღილაკს გავხსნათ ანგარიში, რითაც სრულდება საბალანსო პირადი ანგარიშის გახსნის ოპერაცია.

 ბალანსგარეშე პირადი ანგარიშის გახსნა — ამ ღილაკის საშუალებით შეგვიძლია კონკრეტული კლიენტისთვის გავხსნათ ბალასგარეშე პირადი ანგარიში. ამისათვის უნდა მოვნიშნოთ ის საბალანსო პირადი ანგარიში, რომელსაც მივაკუთვნებთ ბალანსგარეშე ანგარიშს.



სურ. 18

გამოსულ ფაჯარაში (სურ. 18) ვავსებთ შესაბამის ველებს. სპეციალური ღილაკების გამოყენებით ვირჩევთ ბალანსგარეშე ანგარიშის ნომერს და ვაჭერთ **OK** ღილაკზე. კლიენტისათვის მიკუთვნებული ყველა ანგარიში აისახება კლიენტის ანგარიშების სიაში.

 **კორექტირება.** ეს ღილაკი გამოიყენება ანგარიშის კორექტირებისათვის.

 **ანგარიშის დახურვა.** ეს ღილაკი გამოიყენება მონიშნული ანგარიშის დასახურად. დახურულ ანგარიშზე არანაირი ოპერაციები არ ტარდება.


 **ანგარიშის დაჯავშნა.** ამ ღილაკის საშუალებით შეგვიძლია დავჯავშნოთ მონიშნული ანგარიში. ასეთი ტიპის ანგარიშზე არ ტარდება ის ოპერაციები, რომლებიც ამცირებენ მის მნიშვნელობას.

 ეს ღილაკი საშუალებას გვაძლევს გავხსნათ დახურული/დაჯავშნული ანგარიში.

 ეს ღილაკი საშუალებას გვაძლევს გავაუქმოთ მონიშნული ანგარიში.

 ამ ღილაკის საშუალებით შესაძლებელია გავაუქმოთ კლიენტის ბალანსგარეშე პირადი ანგარიში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კლიენტის პირადი ანგარიშის ნახვა შესაძლებელია პუნქტიდან „ფონდები“ ქვეპუნქტ „კლიენტი“-ს არჩევით ან ინსტრუმენტების პანელის  ღილაკზე დაჭერით. გამოვა ფანჯარა, რომელიც შედგება სამი ჩანართისაგან: „ნაშთები“, „ამონაწერი“ და „ბრუნვა“ (სურ. 19).



სურ. 19

ახალი საბალანსო პირადი ანგარიშის გასახსნელად, „ნაშთები” ჩანართის ინსტრუმენტების პანელიდან ვირჩევთ ღილაკს, რის შემდეგაც გამოდის ანგარიშის გახსნის ფაზარა. მასში შემთხვევაში ანგარიშის გასახსნელად საჭირო ყველა მონაცემი. წინა შემთხვევისაგან განსხვავებით, აქ საშუალება გვეძლევა კლიენტი ავირჩიოთ შესაბამისი ჩამოშლადი სიიდან. ამ შემთხვევაშიც ანგარიშის გასახსნელად ვაჭროთ ღილაკს „გავხსნათ ანგარიში”.

ამ ფაზარაში ინსტრუმენტების პანელზე მოთავსებულია ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ღილაკები, კერძოდ საბალანსო პირადი ანგარიშის გახსნის, ანგარიშის კორექტირების, ანგარიშის დახურვის, ანგარიშის დაჯავშნის, დაჯავშნული ან დახურული ანგარიშის გახსნის, საბალანსო პირადი ანგარიშის გაუქმების ღილაკები. გარდა ამისა, აქ ვხვდებით შემდეგ ღილაკებს:

ანგარიშის მიკუთვნება მომხმარებლისათვის — სადაც ბანკის თანამშრომელს გაკუთვნებო მონიშნულ ანგარიშს.

ანგარიშის მიკუთვნება კლიენტისათვის — მონიშნული ანგარიში მიეკუთვნება ეკრაზე გამოსული ღიალოგური ფანჯარის არჩევითი სიიდან ამორჩეულ კლიენტს.


ფანჯრის ქვედა ნაწილში არის ბალანსგარეშე პირადი ანგარიშის გახსნის ღილაკი. პირადი ანგარიშის მონიშვნითა და აღნიშნულ ღილაკზე დაჭერით ეკრაზე გამოვა დიალოგური ფანჯარა, სადაც მოცემულია ბანკის ბალანსგარეშე ანგარიშები. ერთეულთის მონიშვნით და “OK” ღილაკზე დაჭერით არჩეული ბალანსგარეშე ანგარიში მიეკუთვნება მონიშნულ პირად ანგარიშს.

პირადი ანგარიშების ფანჯრის მარცხენა მხარეს მოცემულია ნაშთები მონიშნული ანგარიშისათვის:

ნაშთი გატარებით — აქ მოცემულია გატარებების შედეგად ანგარიშზე მიღებული ნაშთი.

ექვივალენტის ნაშთი გატარებებით — აქ აისახება მონიშნული ანგარიშის ეკვივალენტური თანხა ქართულ დარებით.

შემდეგ სურათზე (სურ.20) მოცემულია საბალანსო, ბალანსგარეშე და პირადი ანგარიშების ურთიერთდამოკიდებულება “BankNet” პროგრამაში.




სურ.20

ლაპორატორიული სამუშაო № 4

გატარებები

საბალანსო გატარების ნახვა შეგვიძლია მთავარი მენიუს პუნქტ „ფონდებიდან“ ქვეპუნქტ „საბალანსო გატარებები“-ის არჩევით ან ინსტრუმენტების პანელიდან ღილაკის არჩევით. გამოვა ფანჯარა რომელიც შედგება სამი ჩანართისაგან: „არქივი“, „საოპერაციო დღე“ და „სამომავლო“ (სურ.21) .




სურ. 21

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.


საოპერაციო დღე

 საოპერაციო დღე — ყოველი ახალი გატარებისათვის გირჩევთ დამატების დილაქს რის შემდეგაც გამოდის დიალოგური ფანჯარა (სურ.22).



სურ. 22

სადებუტო ანგარიშის ასარჩევად ვაჭერთ შესაბამის დილაქს, რის შემდეგაც გამოდის ფანჯარა „ანგარიშები“ (სურ.23), რომელშიც ვირჩევთ საჭირო სადებუტო ანგარიშს.



სურ. 23

ამის შემდეგ გამოჩნდება არჩეული ანგარიშის ნომერი, დასახელება და ნაშთი (თუ ამ ანგარიშს აქვს ნაშთი, მაშინ ნაშთის ველში დაფიქსირდება ეს თანხა).

საკრედიტო ანგარიშის არჩევა ანალოგიურად ხდება.


გატარების დამატების ფანჯრის ზედა მხარეს არის ორი გადამრთველი. პირველი - ეროვნულ გალუტასა და უცხოურ გალუტას შორის და მეორე - ნომინალსა და ექვივალენტს შორის.

თუ გადამრთველს უცხოური გალუტის წინ დააყენებთ, ანგარიშის ნომრის გვერდით გამოჩნდება ჩამოშლადი სია, საიდანაც შეგიძლიათ აირჩიოთ საჭირო გალუტა. რაც შეეხება მეორე გადამრთველს, ეკვივალენტის დაყენების შემდეგ, ანგარიშის ნაშთის თანხაში აისახება ეკვივალენტური თანხა.

იმავე ფანჯრის ზედა მარჯვენა კუთხეში არის გამომავალი დოკუმენტის არჩევის ველი, რომლის გვერდით მდებარე ღილაკზე დაჭერის შედეგად გამოსულ ფანჯარაში საშუალება გეძლევათ აირჩიოთ საჭირო დოკუმენტის ფორმა. გატარებისთვის ყველა ინფორმაციის მითითების შემდეგ, შენახვის ღილაკზე დაჭერით ეკრანზე გამოვა შევსებული დოკუმენტის ფორმა და მომხმარებელს შეუძლია ამობეჭდოს იგი.

საკრედიტო ან სადებეტო ანგარიშის მითითებისას აგრეთვე ვუთითებთ დოკუმენტის ნომერს, გატარების თარიღს, თანხას, ოპერაციის ნომერს და დოკუმენტის ფორმას. შემდეგ ვაჭერთ ოპერაციის დასრულების ღილაკს. შესრულებული გატარება კი აისახება გატარებების სიაში.


თუ შესასრულებელი გატარება არის სალაროს ოპერაცია, ანგარიშებში ვირჩევთ ანგარიშს **სალარო ლარობით**. ფანჯარაში გამოჩნდება სალაროს სიმბოლოს ღილაკი. მასზე დაჭერის შემდეგ გამოვა სალაროს საკრედიტო ბრუნვის სიმბოლოს ასარჩევი ფანჯარა (სურ.24).



სურ. 24


მასში ამორჩეული სიმბოლო ჩაჯდება ოპერაციის განაყოფში არსებულ ველში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშის ნომერი, რომელიც სალაროს ანგარიშად არის მიჩნეული, მითითებულია სისტემის პარამეტრების ფანჯრის ჩანართში პარამეტრები (იგი მდებარეობს პუნქტზე ფონდების, ქვეპუნქტ პარამეტრებში) (სურ. 25). სწორედ ამიტომ, ყოველთვის, როდესაც გატარების ფანჯარაში სადებეტო ან საკრედიტო ანგარიშის ველში ვირჩევთ სალაროს ანგარიშს, გატარების ფანჯარაში ჩნდება სალაროს სიმბოლოების ღილაკი.



სურ. 25

ბანკთა შორის ანგარიშსწორების ოპერაციაში მონაწილეობას ღებულობს საქართველოს ეროვნული ბანკი. მისი ანგარიში წერია ფანჯარა **სისტემის პარამეტრების** შესაბამის ველში (სურ. 25), ამიტომ საკრედიტო ან სადებუტო ანგარიშში ეროვნული ბანკის არჩევით გამოდის ბანკთაშორის ანგარიშსწორების ღილაკი . მასზე დაჭრით ეკრანზე გამოდის დიალოგური ფანჯარა **“დავალება”** (სურ.26).




სურ. 26

ფანჯრის ზედა ნაწილში არის გადამრთველი შესაბამისად კლიენტის, ბანკისა და ფილიალის მოსანიშნად. თუ ჩატარებული ოპერაცია დაკავშირებულია ბანკთა შორის ანგარიშსწორებასთან, მაშინ გატარების შესრულებისას ფანჯარა “დავალებაში” გადამრთველის მეშვეობით უნდა მოინიშნოს ბანკი. ხოლო თუ გატარებაში მონაწილეობს კლიენტი, მაშინ უნდა მოინიშნოს, – კლიენტი. მაგრამ თუ გატარებაში მონაწილეობს სათავო ბანკი და მისი ფილიალი, მაშინ უნდა მოინიშნოს ფილიალი.


ფანჯარაში “დავალება” მოცემულია გატარებაში მონაწილე მხარეების - გამგზავნისა და მიმღების რეკვიზიტები. შესაბამისად ფანჯარა გაყოფილია ორ ნაწილად, ზედა მხარეს მოცემულია გამგზავნის მონაცემები, რომლებიც ავტომატურად ივსება გატარების დამატების ფანჯარაში საკრედიტო ანგარიშის არჩევის შედეგად. რაც შეეხება მიმღების რეკვიზიტებს, ისინი უნდა შეივსოს ფანჯრის ქვედა ნაწილში სათანადო ველებში მონაცემების შეტანით. სპეციალური ღილაკის მეშვეობით, რომელიც მდებარეობს ბანკის კოდის სვეტში, ეკრანზე გამოვა ფანჯარა ბანკების სია, რომელშიც ვირჩევთ მიმღების ბანკს. აქევვე შეგვიძლია ახალი ბანკის დამატება  ღილაკის საშუალებით (სურ.27).

გამოსულ ფანჯარაში შეგვაქვს ახალი ბანკის დასახელება, ბანკის კოდი, რეგიონის კოდი, საკორესპონდენტო ანგარიში, მომსახურე ბანკის კოდი, საჭიროების შემთხვევაში ვაყენებოთ ალამს “ბანკი ჩართულია ქსელში”. საბოლოოდ ვაჭეროთ **OK** ღილაკზე, და ბანკი თავისი რეკვიზიტებით აისახება ბანკების სიაში.



სურ. 27


ფანჯარაში “დავალება”, ანგარიშის სვეტში მდებარე ღილაკზე ”მიმღები ბანკის ანგარიშების სია” დაჭერით ეკრანზე გამოვა იმ ბანკის ანგარიშების სია (სურ.28), რომელიც არჩეულია ჩვენს მიერ იმავე ფანჯარაში. ზედა ნაწილში მოცემულია ამ ბანკის კოდი.



სურ. 28


თუ გსურთ დაამატოთ ახალი ანგრიში, დააჭირეთ ღილაკს. ეკრანზე გამოსულ დიალოგურ ფანჯარაში (სურ.29) უნდა შევიტანოთ ანგარიშის ნომერი, დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, ბანკის კოდი კი ჯდება ავტომატურად. **OK** ღილაკზე დაჭირით ანგარიშის რეკვიზიტები ჩაჯდება შესაბამის ნუსხაში.

მიმღებისათვის საჭირო ინფორმაცია ავტომატურად შეივსება ბანკის ანგარიშის მითითებისას. დოკუმენტის ნომრისა და თარიღის მითითების შემდეგ ვაჭერთ **OK** ღილაკს, და გატარების დამატების ფანჯრის ქვედა ნაწილში ავტომატრად შეივსება გატარებაში მონაწილე მხარეების სრული რეკვიზიტები.




სურ. 29

გატარების დამატების ფანჯარაში არის საფუძვლის შეტანის ველი. გვერდით მდებარე ღილაკზე “ტექსტი სიიდან” დაჭირით გამოვა ფანჯარა **საფუძველი** (სურ.30), რომელშიც შეტანილია ხშირად გამოყენებადი საფუძვლის ტექსტი. ამ ფანჯარაში მომხმარებელს საშუალება ეძლევა ამოირჩიოს, კორექტირება გაუკეთოს ან დაამატოს საფუძვლის ტექსტი.



სურ. 30

გატარების შესასრულებლად გაჭერთ ღილაკზე “დავასრულოთ ოპერაცია”




გატარების სიაში არსებული გატარება შეგვიძლია წავშალოთ ან მასში შევიტანოთ კორექტივები. ამისათვის საკმარისია მოვნიშნოთ იგი და დავაჭიროთ შესაბამის ღილაკს.

თუ გსურთ სალაროს სიმბოლოების მიხედვით ჯამის ხილვა, დააჭირეთ ღილაკს. ეკრანზე გამოსულ ფანჯარაში მოცემული იქნება სალაროს ჯამი სიმბოლოების მიხედვით.

არქივი, სამომავლო

პროგრამა `BankNet`-ი საშუალებას გვაძლევს შესრულებული გატარებები გადავიტანოთ არქივში ან სამომავლო გატარებების ნუსხაში. არქივში გადაიტანება შესრულებული გატარებები. ამისათვის საჭიროა მოვნიშნოთ გატარება და დავაჭიროთ ღილაკს, გამოვა შემდეგი ფანჯარა (სურ.31).



სურ. 31

28.  კორექტირება. ეს ლილაკი საშუალებას გვაძლევს კორექტირება გავუკეთოთ უკეთ შეტანილ ცვლადებს. საჭიროა მხოლოდ მათი მონიშვნა და ლილაკზე დაჭრა.
29.  ჩანაწერის წაშლა, გაუქმება. თუკი გსურთ რომელიმე ცვლადის ან გატარების წაშლა, მონიშნეთ იგი და დააჭირეთ წაშლის ლილაკზე.
30.  აწყობილი ოპერაციის დამახსოვრება. ეს ლილაკი გამოიყენება ყოველთვის, როდესაც გვსურს შესრულებული ცვლილებების დამახსოვრება.
31.  ბეჭდვის ლილაკი საშუალებას გვაძლევს ფურცელზე ამოვბეჭდოთ აწყობილი სამეურნეო ოპერაციების სია.
32.  ძიების ლილაკი საშუალებას გვაძლევს მოვძებნოთ ჩვენთვის სასურველი ცვლადი მონიშნულ, გახსნილ აწყობილ ოპერაციაში.
33.  გაცვლის ლილაკი საშუალებას გვაძლევს მოძებნილი ცვლადის ტექსტი შეცვალოთ სხვა ტექსტით (სურ. 66).



სურ.66

გამოსული ფანჯრის ველში საძიებელი ტექსტი შეგვაქვს მოსაძებნი ტექსტი, ხოლო ველში შეცვალოთ ტექსტით ვუთითებთ სახელს, რომლითაც უნდა შეიცვალოს ნაპოვნი ცვლადი. იმისათვის, რომ ნაპოვნი ცვლადის დასახელება შეიცვალოს, უნდა დავაჭიროთ ლილაკს გაცვალოთ. თუ დავაჭიროთ ლილაკს ყველა ქვევით, მაშინ ქვევით მდებარე ყველა ნაპოვნი ცვლადი შეიცვლება საჭირო სიტყვით.

ლაბორატორიული სამუშაო №7

ხელფასის უწყისი

ხელფასის უწყისთან რომ ვიმუშაოთ, საჭიროა ძირითადი მენიუს პუნქტებში ავირჩიოთ ქვეპუნქტი ხელფასი. სამუშაო მაგიდაზე ვიხილავთ ეპრანს, რომელიც 2 ჩანართს შეიცავს (სურ.67).

The screenshot shows a software window with a toolbar at the top. Below the toolbar is a table with columns for Employee ID, Name, Position, and various salary-related fields. The table data is as follows:

N	სახელი-გვარი	მართველი	მართველის	გათავისა			
				თავისი	კორესი	რენტაცია	სალარი
1	Director	naskidashvili .	Pilinis I.	9201000014	3601000296	1	Salary (net) for 0
1	Director		tavamaishevili t.g.				5

Below the table is a section titled "წლის:" (Year) with a grid showing monthly salaries for 2008. The data is as follows:

000	A...	B	C...	D	E	F...	G
	Gross Salary I LARI	Advance I LARI	Gross Salary II LARI	Advance II LARI	არ დარღმულები	ხალველები	
January	328						
February	300						
March	300						
April	300						
May	300						
June	300						
July	300						
August	300						
September	300						
October	300						
November	300						
December	300						

სურ.67

ესენია:

- კადრები;
- ხელფასის უწყისი.

თუ ავირჩევთ კადრებს, ეკრანზე დავინახავთ პორიზონტალური ხაზით ორ ნაწილად გაყოფილ ფანჯარას. ზედა ნაწილში არის ორგანიზაციის თანამშრომეთა მონაცემები - სახელი და გვარი, თანამდებობა, მისამართი (ქალაქი, ქუჩა, ინდექსი), ტელეფონი და პასპორტის რეკვიზიტები (ნომერი, გაცემის თარიღი და ადგილი).

აქვე შეგვაძეს ყოველი ახალი თანამშრომლის მონაცემები.

მეორე ნაწილი შედგება 26 სვეტსაგან. ამ სვეტების ნაწილის დანიშნულება წინასწარაა განსაზღვრული. აქ აისახება დარიცხული ხელფასი, ბიულეტენი, შვებულება, მინიმალური ხელფასი, ხელშეკრულება და ა.შ. მათი გამოტანის შერჩევა ხორციელდება ქვეპუნქტი დარიცხვებიდან.

ამ ნაწილში შესაძლებელია ხელფასის დარიცხვა. ამისათვის უნდა მოვნიშნოთ იმ თვის შესაბამისი ველი, რომლის ხელფასის დარიცხვასაც ვაპირებთ და შევიტანოთ ხელფასისი ოდენობის მნიშვნელობა. Enter ღილაკზე დაჭრით ეს

მნიშვნელობა დანარჩენ თვეებშიც გადავა (სურ.67) (ეს განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ სვეტის დასახელების გასწვრივ ჩანს სამი წერტილი, ამ წერტილების გამოტანა შესაძლებელია სვეტის დასახელებაზე ორჯერ დაჭრით). საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია ვცვალოთ ნებისმიერი თვის დარიცხული ხელფასი.

კადრების ჩანართის ფანჯარა შემდეგ დილაკებს შეიცავს:

 **დამატების დილაკი.** მისი მეშვეობით ხდება სიაში ახალი თანამშრომლის დამატება. ამისათვის ვაჭერთ დილაკს და ეპრანზე გამოსულ პატარა ფანჯარაში, რომელიც ოთხ ჩანართს შეიცავს, შეგვაქვს ახალი თანამშრომლის მონაცემები. პირველ ჩანართში **თანამშრომელი** შეგვაქვს: თანამშრომლის კოდი (თანამშრომლის კოდი იწერება ავტომატურად, თუმცა შესაძლებელია მისი შეცვლა), თანამშრომლის გვარი, სახელი, მამის სახელი, განყოფილება, რომელშიც იგი იმუშავებს, მისი რიგითი ნომერი, დაბადების თარიღი, ორგანიზაციაში მოსვლის თარიღი და თანამდებობა. განყოფილების აღნიშვნა შესაძლებელია 2 ხერხით: შესაბამის ველში მისი დასახელების აკრეფა, ან ველის ბოლოს არსებული დილაკის საშუალებით განყოფილებების სიიდან გადმოტანა. მეორე ჩანართში მისამართი შეგვაქვს თანამშრომლის მისამართი, ანუ საფოსტო ინდექსი, ქალაქი, ქუჩა და ტელეფონის ნომერი. მესამე ჩანართში **საპასპორტო** მონაცემები შეგვაქვს ახალი თანამშრომლის პასპორტის ნომერი, მისი გაცემის თარიღი და თუ ვის მიერაა იგი გაცემული. მეოთხე ჩანართში გატარებები შეგვიძლია მივუთითოთ ანგარიშები, სადაც გატარდება მოცემულ თანამშრომელზე დარიცხული ხელფასი ყველა დაკავების გათვალისწინებით. საბოლოოდ ვაჭერთ OK-ს და ახალი თანამშრომლის მონაცემები აისახება სიაში.

 **კორექტირების დილაკი.** ამ დილაკის საშუალებით ხდება სიაში არსებული თანამშრომლის მონაცემების კორექტირება.

 **წაშლის დილაკი.** ამ დილაკზე დაჭერით ხორციელდება თანამშრომლის სიიდან მონიშნულის წაშლა.


 **ძიების დილაკი.** მისი საშუალებით შესაძლებელია თანამშრომელთა სიაში სასურველის მოძებნა ჩამოშლად სიაში არსებული კრიტერიუმების მიხედვით: კოდი, ნომერი, განყოფილება, თანამშრომელი, თანამდებობა, ქალაქი, მისამართი, ინდექსი, ტელეფონი და სხვა.

 **ბეჭდვის დილაკი.** ამ დილაკზე დაჭერით ვახორციელდებთ თანამშრომელთა შესახებ არსებული მონაცემების ბეჭდვას. შესაძლებელია როგორც მთელი სიის ამობეჭდვა, ისე რომელიმე ერთი თანამშრომლის შესახებ მონაცემებისა.

 **დარიცხვის დილაკი.** ამ დილაკზე დაჭერის შედეგად ეკრანზე გამოდის ფანჯარა, რომელიც შეიცავს ხელფასის დარიცხვასთან და გაანგარიშებასთან დაკავშირებულ ყველა გამოსათვალელ ფორმულას. ეს ფორმულები შედგენილია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის

შესაბამისად. მათი საშუალებით ავტომატურად ხდება ხელფასთან დაკავშირებული დარიცხვების გაანგარიშება და დარიცხული ხელფასიდან დასაბეგრი გადასახადების გამოკლება პროცენტული მაჩვენებლების გათვალისწინებით. აუცილებლან უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფანჯარა შეიცავს რამდენიმე ჩანართს სხვადასხვა უწყისისათვის.


 **საშემოსავლოს ღილაკი.** ამ ღილაკზე დაჭერის შედეგად ეკრანზე გამოვა ფანჯარა, რომელზეც გამოასახულია ხელფასის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის სკალა. იგი შეიცავს ხელფასის ქვედა და ზედა ზღვრებს, ასევე დაბეგვრის შესაბამის პროცენტულ მნიშვნელობებს. მისი გამოყენება ხდება დარიცხვების ფორმულებში. ამ სკალას აღგენს ფინანსთა სამინისტრო. პროგრამაში გათვალისწინებულია დარიცხული ხელფასის დაბეგვრა შემდეგი საშემოსავლო ტარიფებით (სურ. 68). ამჟამად საქართველოში დარიცხული ხელფასი იძეგრება 25%-ით.



კერძა ზღვარი	ზედა ზღვარი	დარიცხვის %
0.00	200.00	12.00
200.00	350.00	15.00
350.00	600.00	17.00
600.00	10000000.00	20.00

სურ. 68

 **დაუბეგრავი მინიმუმის ღილაკი.** ამ ღილაკის საშუალებით ეკრანზე გამოვა ფანჯარა (სურ. 69), რომელიც შეიცავს დაუბეგრავი მინიმუმის ოდენობას მთელი წლის განმავლობაში. პროგრამაში დაუბეგრავი მინიმუმი არის 9 ლარი თვეში. თუ მოქმედი კანონმდებლობით დაუბეგრავი მინიმუმის ოდენობა შეიცვალა, სისტემა იძლევა საშუალებას განვახორციელოთ შესაბამისი ცვლილებები. ეს მნიშვნელობები აგრეთვე გამოიყენება დარიცხვების ფორმულებში. ამჟამად, საქართველოში დაუბეგრავი მინიმუმი არ გამოიყენება.



სურ.69

ახლა განვიხილოთ მეორე ჩანართი ხელფასის უწყისი (სურ.70).

საქართველოს მინისტრის მიერ განვიხილოთ		საქართველოს მინისტრის მიერ განვიხილოთ										
		თარიღი	სახელი	მისამართი	Rate (*100)	Gross salary	Over time	Total Gross	Income Tax	Social 1%	Medical 1%	Total tax
			naskidashvili ..		217.99	300.00		300.00	213.70	3.00	3.00	219.70
1	Director	Pilnis I.										
1	Director	tavamaisvili t.g.			217.99	500.00		500.00	368.10	5.00	5.00	378.10

სურ. 70

ამ ჩანართში ინფორმაცია გამოდის იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ დავაჭროთ ხელფასის ანგარიშის ღილაკს. ყოველი თანამშრომლისათვის ასახულია დარიცხული ხელფასი, დაკავებები და ხელზე გასაცემი თანხა.

ფანჯრის ზედა მარჯვენა კუთხეში არის ველი, რომელშიც ჩანს, თუ რომელი წლისა და რომელი თვის უწყისია ეკრანზე და ასევე მისი ნომერი.

ფანჯრა შეიცავს შემდეგ ახალ ღილაპებს:

უწყისში თანამშრომლის აღღების ღილაკი. ეს ღილაკი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელფასის უწყისიდან რომელიმე თანამშრომელი ამოღებულია და გვსურს მისი აღღება. ამისათვის მოგნიშნავთ შესაბამის თანამშრომელს და ვაჭროთ მოცემულ ღილაკს.

თანამშრომლის ბარათის ღილაკი. ამ ღილაკის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ სასურველი თანამშრომლის ბარათი.



უწყისიდან თანამშრომლის ამოღების ღილაკი – ამ ღილაკით ვახორიელებთ ამორჩეული თანამშრომლის შემდგომი სასურველი თვის ხელფასის უწყისიდან ამოღებას. ამისათვის მოვნიშნავთ შესაბამის თანამშრომელს და ვაჭერთ მოცემულ ღილაკს. ამ შემთხვევაში თანამშრომლის მონაცემები არ ნადგურდება, უბრალოდ ეს თანამშრომელი არ იქნება მოთავსებული ხელფასის უწყისში.




ხელფასის ანგარიშის ღილაკი. ამ ღილაკის საშუალებით ხდება სიაში მითითებული თანამშრომლისათვის ხელზე გასაცემი ხელფასის გაანგარიშება. ამისათვის ვაჭერთ ხელფასის ანგარიშის ღილაკს. ეკრანზე გამოვა პატარა ფანჯარა, რომელშიც უნდა მივუთითოთ, თუ რომელი წლის და რომელი თვის ხელფასის გაანგარიშება გვსურს, ასევე უნდა ავირჩიოთ სასურველი უწყისი, რომლის შექმნა წარმოებს დარიცხვების ფანჯარაში, შემდეგ მივანიჭოთ ნომერი და დაგაჭიროთ OK-ს.



ბეჭდების ღილაკი. ამ ღილაკის საშუალებით ეკრანზე გამოდის ფანჯარა (სურ.71), რომელიც შეიცავს ორ ჩანართს – ხელფასის უწყისი და თანამშრომლის ბარათი.


განვიხილოთ ჩანართი ხელფასის უწყისი. ამ ჩანართიდან შეგვიძლია ამოვბეჭდოთ როგორც ხელფასის უწყისი ისევე თანამშრომლის ბარათი. ხელფასის უწყისი შეიძლება ამოვბეჭდოთ როგორც დარიცხვის ფორმით, ისევე ხელფასის ფორმით. ასევე შეგვიძლია ამოვბეჭდოთ ხელფასის უწყისი ყველა განყოფილებისათვის, რომელიმე კონკრეტული განყოფილებისათვის ან, უბრალოდ, საერთო ჯამი.



სურ. 71

ჩანართიდან - თანამშრომლის ბარათი, შეგვიძლია ამოვბეჭდოთ რომელიმე კონკრეტული თანამშრომლის ბარათი. ასევე შეგვიძლია ამოვბეჭდოთ ბარათი რომელიმე კონკრეტული განყოფილების თანამშრომლებისათვის.

 **ხელფასის გატარებები.** ამ ღილაკის საშუალებით შესაძლებელია ხელფასის დარიცხვასთან დაკავშირებული ყველა გატარების ავტომატურად განხორციელება. ამისათვის ფანჯარაში (სურ.72) უნდა ჩავრთოთ საჭირო ალამი პანელში – რა გატარებები შევასრულოთ, ხოლო პანელში – სად გავატაროთ – უნდა ჩავრთოთ შესაბამისი გადამრთველი – არქივი, საოპერაციო დღე ან სამომავლო. მივუთითოთ თარიღი. შემდეგ უნდა დავაჭიროთ OK - ღილაკს.



სურ. 72

 **არქივის ღილაკი.** ამ ღილაკის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ არქივში არსებული ნებისმიერი ხელფასის უწყისი და თანამშრომლის ბარათი. ეპრანზე გამოსული ფანჯარა მედგება ორი ჩანართისაგან: ხელფასის უწყისი და თანამშრომლის ბარათი. პირველ მათგანში საშუალება გვეძლევა ამორჩეული ხელფასის უწყისისათვის ვიხილოთ დარიცხვისა და ხელფასის უწყისი კონკრეტული, ყველა განყოფილებისათვის ან დარიცხული ხელფასის საერთო ჯამი. იმავე ფანჯარაში მიეთითება ის თვე, რომლის უწყისის ამობეჭდვაც გვსურს. მეორე ჩანართში უკვე კონკრეტული თანამშრომლებისთვის შეგვიძლია ვიხილოთ უწყისი ამორჩეული თვეების მიხედვით. თანამშრომლის მონიშვნა შეგიძლიათ იმავე ფანჯარაში არსებული კადრების სიიდან. აქვე აღვნიშნოთ, რომ ორივე ჩანართში ფანჯრის ქვედა ნაწილში არის უწყისის ფურცელზე განთავსების ორიენტაციის ასარჩევი გადამრთველი.




ლაბორატორიული სამუშაო № 8

ფორმების აწყობა

პროგრამა **BankNet**-ი საშუალებას გვაძლევს ოპერაციების შესრულებასთან ერთად მივიღოთ გამომავალი ფორმები, რომელთა აწყობა და გამოყენება შესაძლებელია პუნქტ ინტერაციების ქვეპუნქტ გამომავალი ფორმების გენერატორი-დან. თუ აირჩევთ ქვეპუნქტს ფორმების მიღება, ეკრანზე გამოვა ფანჯარა დასაფორმირებელი დოკუმენტი, რომელშიც საშუალება გვეძლევა ფაილებად შენახული, უკვე აწყობილი გამომავალი ფორმებიდან ავირჩიოთ ერთ-ერთი.

იმისათვის, რომ ავაწყოთ ფორმები უნდა შევიდეთ პუნქტ ინტერაციების, ქვეპუნქტ გამომავალი ფორმების გენერატორში და ავირჩიოთ ფორმების აწყობა. გამოდის შემდეგი ფანჯარა (სურ.73).



სურ.73

განვიხილოთ ინსტრუმენტების პანელზე მდებარე ლილაკები:

ახალი დოკუმენტი. ამ ლილაკის მეშვეობით შესაძლებელია ახალი გამომავალი ფორმის აწყობა.

დოკუმენტის გახსნა. ამ ლილაკის მეშვეობით შესაძლებელია აწყობილი გამომავალი ფორმის გახსნა და კორექტირება.

დოკუმენტის დამახსოვრა. მოცემული ლილაკის დახმარებით ინახება აწყობილი ოპერაცია.

Preveiw ლილაკის გამოყენებით საშუალება გვეძლევა აწყობილი დოკუმენტის საბოლოო სახის ნახვა.

T

ტექსტის აკრეფა. ამ ღილაკით ხდება ტექსტის შეტანა გამომავალ ფორმაში. ამ ღილაკზე დაჭერის შემდეგ ფანჯრის ძირითად ნაწილში დააჭირეთ თაგვის მარჯვენა ღილაკს ან **Drag** მეთოდის გამოყენებით მოხაზეთ ტექსტის შესატანი არის სასურველი ზომა. აკრიფეთ ტექსტი და **Preview** ღილაკის გამოყენებით ნახეთ თუ როგორ დაფორმირდება გამომავალი ფორმა, რომელშიც მხოლოდ თქვენს მიერ აკრეფილი ტექსტი იქნება.

□

ოთხეკუთხედი. ეს ღილაკი გამოიყენება ოთხეკუთხედის ფორმის ჩარჩოს შესაქმნელად.

/

საზის გასავალები ღილაკი.

█


სურათის ჩასასმელი ღილაკი. სურათის ობიექტის ჩასმის შემდეგ ფანჯრის ძირითად ნაწილში, გამოიძახეთ მისი კონტექსტური მენიუ და აირჩიეთ გამოსახულება. ეკრანზე გამოვა ფანჯარა გამოსახულების ფაილი, რომელშიც უნდა ავირჩიოთ ჩასასმელი სურათის ფაილი.

█

ბადით გადაადგილების ღილაკი. ამ საშუალებას გვაძლევს გამომავალი ფორმის ფანჯარაში გამოვაჩინოთ ან დავმალოთ ბადე, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ობიექტის სიმეტრიულად დალაგებისთვის და მარტივად გადაადგილებისთვის.

fx

ფორმულის ღილაკი გამოიყენება ფორმულების შესაქმნელად. პირველ რიგში საჭიროა გამომავალი ფორმის დასაფორმატებელ ფანჯარაში შევქმნათ ფორმულის ობიექტი, რომელზეც ორჯერ დაჭერის შემდეგ ფანჯარაში ცვლადები საშუალება გვეძლევა შევქმნათ ცვლადები და ფორმულები, ასაწყობ ფორმაში ჩასასმელად. ეკრანზე გამოდის შემდეგი ფანჯარა (სურ.74).




სურ.74

აღნიშნულ ფანჯარაში შექმნილი ცვლადი, რომელშიც შესაძლებელია სხვა ცვლადების გამოყენება, **არჩევის**  დილაკით მიეკუთვნება იმ ობიექტს, რომელზეც ორჯერ დაჭრით გამოვიდა ცვლადების ფანჯარა.

ყოველთვის, როდესაც დაგჭირდება აწყობილი ფორმის საბოლოო სახის ნახვა, გამომავალი დოკუმენტის აწყობის ფანჯარაში უნდა დავაჭიროთ **Preview** დილაკს. ფანჯარაში ნაბეჭდი ფორმა ეკრანზე გამოჩნდება აწყობილი ფორმა.

ცვლადების შექმნა ხდება ინსტრუმენტების პანელზე მდებარე დილაკების გამოყენებით. განვიხილოთ ეს დილაკები:


 ფორმულის დილაკი. ამ დილაკის საშუალებით შეგვიძლია ცვლადისათვის დავწეროთ ფორმულა. ეკრანზე გამოდის დიალოგური ფანჯარა, სადაც შეგვაქვს ფორმულის პირობა (სურ.75).



სურ.75

შეტანის ველის გასწვრივ მდებარე  დილაკის მეშვეობით შეგვიძლია ფორმულაში ჩავსვათ უკვე შექმნილი ცვლადები.  ფუნქციების დილაკის მეშვეობით ვირჩევთ ფორმულას, ხოლო  დილაკის სისტემის კონსტანტები მეშვეობით კი ჩავსვავთ მუდმივ ცვლადებს. ციფრული ბლოკის მეშვეობით შესაძლებელია ციფრებისა და არითმეტიკული სიმბოლოების ჩასმა.


 ანგარიშზე მდგომარეობის დილაკზე დაჭრის შემდეგ ეკრანზე გამოდის ფანჯარა, რომელშიც უნდა მივუთითოთ ნაშთი თარიღისათვის, ანგარიშის ნომერი, ვალუტა, წილადის განზომილება და პირობა, რა უნდა გაკეთდეს ნულის შემთხვევაში (სურ.76).



სურ. 76

ფანჯრის მარჯვენა მხარეს არის სამი პანელი. პირველ მათგანში მოცემულია გადამრთველი, სადაც მონიშნული ანგარიშისითვის ვირჩევთ საბალანსო თუ ბალანსგარეშე ნაშთის ნახვა გვსურს. მეორე პანელში არის გადამრთველი ნომინალსა და ეკვივალენტს შორის, ხოლო დებეტისა და კრედიტის ალმების მონიშნის შემთხვევაში საშუალება გვეძლევა ანგარიშისათვის გამოვიყენოთ სადებეტო ან საკრედიტო ნაშთი.

ანგარიშების ფილტრი. ამ ღილაკზე დაჭრის შემდეგ ეკრანზე გამოდის 77-ე სურათზე ნაჩვენები ფანჯარა.




სურ. 77

მოცემულ ფანჯარაში საშუალება გვეძლევა ანგარიშები გაგფილტროთ ანგარიშის ნომრის, ანალიზური კოდის, ანგარიშის ტიპის, ვალუტის, ახალი

საბალანსო ანგარიშის, გახსნის, დახურვის და დაჯავშნის თარიღის, ბალანსგარეშე ანგარიშის, ნაშთის, პასუხისმგებელი პირის, ანგარიშების ბრუნვების და ა.შ. მონაცემების მიხედვით. აქვე მდებარე პანელი „ანგარიშის მფლობელი კლიენტი“ გვეხმარება ანგარიშები გავფილტროთ კლიენტის მონაცემების მიხედვით.




ვალუტის კურსის აღმნიშვნელი ლილაკი. მისი მეშვეობით ეკრანზე გამოდის დიალოგური ფანჯარა დამატება (სურ. 78). მასში ვუთითებთ ვალუტას და თარიღს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ვალუტის კურსი.



სურ. 78




ლილაკის ციფრის თარგმნა სიტყვიერად დახმარებით შეგვიძლია ციფრებით ჩაწერილი თანხა ეკრანზე გამოვიტანოთ სიტყვიერად (სურ. 79). სათარგმნი ცვლადი კი აირჩევა შესაბამისი ველიდან. პანელში თარგმნა განთავსებულია ორი - ქართულზე და ინგლისურზე გადამრთველი. მათი მეშვეობით ეკრანზე გამოსატანი ტექსტი შეგვიძლია გამოვიტანოთ ქართულად ან ინგლისურად.



სურ.79




მნიშვნელობა საბალანსო ანგარიშზე. ეს ლილაკი საშუალებას გვაძლევს შევქმნათ ცვლადი, რომელშიც შეგვიძლია განვსაზღვროთ ანგარიშის ნაშთი კონკრეტული თარიღისა და ვალუტის მიხედვით. გამოსულ ფანჯარაში დამატება ხდება თარიღის, ანგარიშის, ვალუტის, წილადის განზომილების მითითება (სურ. 80).



სურ. 80

ხოლო მარჯვენა მხარეს საშუალება გვეძლევა ავირჩიოთ ანგარიშის ტიპი და განვსაზღვროთ თუ რომელ ვალუტაში წარმოდგინდეს ნაშთი.

მნიშვნელობა გატარებებიდან. ამ ლილაკის დახმარებით შეგვიძლია ცვლადში ჩავსვათ მნიშვნელობა გატარებიდან (სურ. 81).



სურ. 81

გამოსულ ფანჯარაში უკითითებთ გატარების დიაპაზონს, საკრედიტო, სადებუტო ანგარიშს, ვალუტას. შეგვიძლია ასევე გატარებები გავფილტროთ სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით გატარების ფილტრის ლილაკის მეშვეობით. იმავე ფანჯარაში შეგვიძლია განვსზღვროთ ჩვენ მიერ ასარჩევი გატარება საბალანსოა თუ ბალანსგარეშე, შესაბამისი ჩანართის მონიშვნით.

— **პირობის ლილაკი.** აღნიშნული ლილაკი საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ პირობა, რომელ შიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შექმნილი ცვლადები (სურ.82).




სურ. 82

პროცედურის შეწყვეტის დილაპი. ამ დილაპზე დაჭერით გამოდის კონტექსტური მენიუ, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევწყვიტოთ: პროგრამა, for ციკლი, for ოპერაცია და რუტინა.

დებაგირების დილაპი, საშუალებას გვაძლევს თვალი ვადევნოთ ფორმის აწყობის მსგლელობას.

შეკითხვის დილაპი. ამ დილაპზე დაჭერით გამოდის ფანჯარა (სურ. 83), რომელშიც უნდა ჩავწეროთ შეკითხვის ტექსტი და ავირჩიოთ მოთხოვნის ტიპი.




სურ. 83

სანამ ეკრანზე გამოვა აწყობილი ფორმა, გამოდის პატარა ფანჯარა მითითებული შეკითხვის ტექსტით, რომელშიც უნდა ჩავწეროთ ან ავირჩიოთ სათანადო ინფორმაცია.

— **სისტემის კონსტანტები.** აღნიშნული დილაპი საშუალებას გვაძლევს შევქმნათ ცვლადები სისტემის კონსტანტებზე.

საკმარისია მხოლოდ გამოსულ ფანჯარაში სისტემის კონსტანტები (სურ.84) ავირჩიოთ საჭირო ცვლადი, დავაჭიროთ დილაპს და ცვლადების სიაში

გამოჩენილი ახალი ცვლადი მივანიჭოთ რომელიმე ობიექტს ან გამოვიყენოთ სხვა ცვლადის შექმნისას.



სურ.84



კოპირების დილაკი.



ჩასმის დილაკი



მონიშნული ცვლადის გადაადგილება ერთი ხაზით ზევით.



მონიშნული ცვლადის გადაადგილება ერთი ხაზით ქვევით.



კორექტირება. ეს დილაკი საშუალებას გვაძლევს კორექტირება გავუკეთოთ შეგე შეტანილ ცვლადებს. საჭიროა მხოლოდ მათი მონიშვნა და დილაგზე დაჭერა.



ცვლადის წაშლა, გაუქმება. თუ გსურთ რომელიმე ცვლადის წაშლა, მონიშნეთ იგი და დააჭირეთ წაშლის დილაკს.




ბეჭდვის დილაკი საშუალებას გვაძლევს ფურცელზე ამოვბეჭდოთ აწყობილი ცორმის ცვლადების აღწერა.



— ძიების დილაკი საშუალებას გვაძლევს მოვძებნოთ ჩვენთვის სასურველი ცვლადი მონიშნულ, გახსნილ აწყობილ დოკუმენტში.



გაცვლის დილაკი საშუალებას გვაძლევს ცვლადის დასახელება შეცვალოთ სხვა დასახელებით (სურ.85).



სურ.85

გამოსული ფანჯრის ველში საძიებელი ტექსტი შეგვაქვს მოსაძებნი ტექსტი, ხოლო ველში შევცვალოთ ტექსტით ვუთითებთ სახელს, რომლითაც უნდა შეიცვალოს ნაპოვნი ცვლადი. დასახელების შესაცვლელად დააჭირეთ ღილაკს გავცვალოთ. თუ დავაჭეროთ ღილაკს ყველა ქვევით, მაშინ შეიცვლება ყველა ქვევით მდებარე ნაპოვნი ცვლადი შესაცვლელი სიტყვით.

ლაპორატორიული სამუშაო №9

ცხრილის აწყობა

ცხრილის შექმნა შესაძლებელია პუნქტ ფონდების ქვეპუნქტ ცხრილების აწყობიდან. ეკრანზე გამოვა ფანჯარა ცხრილის აწყობა (სურ.86), რომელიც ორ ნაწილად არის გაყოფილი. მარცხენა მხარეს მოცემულია აწყობილი ცხრილების დასახელება, ხოლო მარჯვენა მხარეს — მონიშნული ცხრილების ველების დასახელება და ტიპი.

ID	დასახელება	ტიპი
1	სარარავით 06შობა	R 606000 60000
2	სახელი	C საბოლოო
3	გვარი	C სიმბოლი
4	ტელეფონი	N 60063000
5	თარიღი	D თარიღი
6	სტატიური	A სტატიური 01

სურ.86

ინსტრუმენტების პანელზე მოთავსებულია შედეგი ღილაკები:



დამატების ღილაკი. მისი მეშვეობით შესაძლებელია მენიუს, ქვემენიუს ან ცხრილის შექმნა. აღნიშნულ ღილაკზე დაჭრით ჩამოიშლება მენიუ ზემოთ აღნიშნული პუნქტებით (სურ.87). ერთ-ერთი მათგანის არჩევით მონიშნული ველის ქვევით გააჩნდება იერარქიულად ერთი დონით ქვევით მდებარე შეტანის ველი, რომელშიც უნდა ჩაიწეროს მენიუს, ქვემენიუს ან ცხრილის დასახელება.

სახელი	რედ.
ხელი	რედ.
ცხრილი	

სურ.87



კორექტირების დილაპი. აღნიშნული დილაპით ხდება მონიშნული მენიუს, ქვემენიუს ან ცხრილის კორექტირება.




წაშლის დილაპი. ამ დილაპის მეშეებით შესაძლებელია მონიშნული მენიუს, ქვემენიუს ან ცხრილის წაშლა თავისი ქვედონებით.



კოპირების დილაპი. ეს დილაპი გვაძლევს მონიშნული მონაცემის ასლის გადააღების საშუალებას.



ჩასმის დილაპი. ამ დილაპზე დაჭერის შემდეგ გამოდის ფანჯარა (სურ.88), რომელშიც ვუთითებოთ თუ რომელ დონეზე გვინდა ჩავსვათ კოპირებული მონაცემი.



სურ.88



ბეჭდვის დილაპი. მისი საშუალებით შესაძლებელია არსებული ცხრილების სიის ამობეჭდვა.



ძიების დილაპი. ამ დილაპის გამოყენების შემთხვევაში გამოდის ფანჯარა, საიდანაც ვეძებთ მონაცემებს ჩვენთვის სასურველი პარამეტრის მიხედვით.




შეკუმშვის დილაპი. იგი საშუალებას გვაძლევს ვიხილოთ აწყობილი ცხრილი შეკუმშული ან გაშლილი სახით.



ეკრანის განახლების დილაპი.



მონაცემის (ცხრილის, მენიუს ან ქვემენიუს) ექსპორტირების დილაპი. ეკრანზე გამოსულ ფანჯარაში (სურ. 89) საშუალება გვეძლევა მოვნიშნოთ ის მონაცემი, რომლის ექსპორტირებაც გვსურს. ქვედა მხარეს მდებარე ექსპორტის ველში კი ვირჩევთ იმ ფაილს, რომელშიც გვინდა მონიშნული მონაცემების ექსპორტირება.



სურ.89



მონაცემის (ცხრილის, მენიუს ან ქვემენიუს) იმპორტირების დილაკი. ამ დილაკის საშუალებით შესაძლებელია ჩვენთვის სასურველი ცხრილის, მენიუს ან ქვემენიუს იმპორტირება. გამოსული ფანჯრის ველში “იმპორტირების ფაილი” ვწერთ საიმპორტო ფაილის სახელს და ვაჭროთ OK დილაკს.



მონიშნული მონაცემის გადაადგილება ერთი ველით ზევით.



მონიშნული მონაცემის გადაადგილება ერთი ველით ქვევით.

ცხრილის მონიშვნის შემდეგ ინსტრუმენტების პანელზე გამოდის ორი დამატებითი დილაკი.



ცხრილის ველის აღწერის დილაკი. ამ დილაკზე დაჭერით გამოსულ ფანჯარაში (სურ.90) ხდება ცხრილში ველის დამატება, მათი ტიპის განსაზღვრა და აღწერა.


მიმღებათი [p8g]				
NN	ვლის დასახელება	ტიპი	სიმძიმე/ტენიანი	ტილადი/ველი
1	608000 608060	⚡ R 608000 608060	20	

სურ. 90

განვიხილოთ გამოსული ფანჯრის ინსტრუმენტების პანელზე მდებარე დილაკები:




დამატების დილაკი. ამ დილაკის დაჭერის შემდეგ გამოდის შემდეგი ფანჯარა (სურ.91).



სურ.91

მოცემული ფანჯრის დიალოგური ველიდან შეგვეავს ველის დასახელება. შემდეგ გადავდივართ ჩანართზე “ტიპი” ან ვაჭერთ შემდეგ>> დილაპს. მოცემულ ფანჯარაში გამოდის ჩვენს მიერ დაწერილი ველის შესაძლო ტიპი (სურ.92). განვიხილოთ ეს ტიპები ცალ-ცალკე.




სურ.92

- სიმბოლური (C)** — ამ შემთხვევაში ჩვენ მიერ შექმნილი ველის მნიშვნელობები იქნება სიმბოლური.
- რიცხვითი (N)** — აქ ჩვენ მიერ შექმნილ ველში შესაძლებლია მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობების შეყვანა, სხვა სიბოლოების შეყვანის შემთხვევაში ველის მნიშვნელობა იქნება ნულის ტოლი.
- თარიღი (D)** — შექმნილი ველი იქნება თარიღის დასაფიქსირებლად, რომელიც იგსება ამ ველის გვერდზე მდებარე არჩევის დილაპის მეშვეობით.
- სტატიკური ცხრილიდან (A)** — ამ ტიპის არჩევის შემდეგ ეკრანზე გამოდის სტატიკური ცხრილი, რომელშიც მოცემულია მონაცემები. ერთ-ერთი მონაცემის არჩევის შემდეგ ეს ველი დაუკავშირდება შესაბამის სტატიკურ მონაცემს.
- სხვა ცხრილიდან (L)** — აღნიშნული ტიპის არჩევისას, ჩანართ აღწერაზე გადასვლის დროს, ეკრანზე გამოვა უკვე შექმნილი ცხრილები, სადაც შეგვიძლია მოვნიშნოთ ერთ-ერთი ველი. შექმნილ ველში საშუალება

გვეძლევა ავირჩიოთ მონიშნული ველის შევსებული მონაცემებიდან ერთ-ერთი.


6. **კაგშირი ბევრი ერთთან (M)** — აღნიშნული ტიპის არჩევის შემთხვევაში გამოდის ფანჯარა, საიდანაც ვირჩევთ ჩვენთვის სასურველ ცხრილს. მოცემული ცხრილის ყოველი ველი უკავშირდება ჩვენ მიერ შექმნილ ცხრილს.

ამის შემდეგ გადავდივართ ჩანართზე **აღწერა** (სურ.93) ან ვაჭერთ დილაკს **შემდეგ>>**, სადაც ვუთითებთ ველის სიგრძეს, რიცხვითის შემთხვევაში - წილადის განზომილებას. თუ ველის ტიპად არჩეული გვაქვს “**სტატიკური ცხრილიდან**” (**A**), მაშინ, როგორც აღვნიშნეთ, ჩანართში **აღწერა** ხდება სტატიკური ცხრილებისა და ველის სიგრძის არჩევა. იმ შემთხვევაში თუ ვირჩევთ ველის ტიპს **სხვა ცხრილიდან (L)**, მაშინ შემდეგ ჩანართში საშუალება გვეძლევა ავირჩიოთ შექმნილი ცხრილებიდან სასურველი ველი. (**M**) ტიპის კაგშირი ბევრი ერთთან არჩევისას ჩანართში **აღწერა** ვირჩევთ იმ ცხრილის დასახელებას, რომელსაც უნდა მივაბათ ჩვენ მიერ შექმნილი ცხრილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი კაგშირი ყოველ ცხრილში მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს.



სურ. 93

იმ შემთხვევაში, თუ გვინდა ამ პროცესის შეწყვეტა, ვაჭერთ დილაკს **უარი**, ხოლო ველის შექმნის დასრულების დასადასტურებლად, ვაჭერთ დილაკს **დასასრული**. შექმნილი ველი აისახება ცხრილის აწყობის ფანჯარაში (სურ. 94)



სურ 94

ჩვენთვის სასურველი ცხრილის შექმნის შემდეგ ინსტრუმენტების პანელზე მდებარე დილაკის საშუალებით შესაძლებელია ამ ცხრილის შევსება. აღნიშნული ფანჯარის ინსტრუმენტების პანელზე მოთავსებულია სტანდარტული კორექტირების, გაუქმების, ამოჭრის, კოპირების და ჩასმის დილაკები. **OK** დილაკზე დაჭერით დასრულდება ცხრილის აწყობა. მისი შევსება და მონაცემების


ნახვა შესაძლებელია ცხრილის მონაცემების დილაკზე დაჭერით. ეპრანზე გამოვა ფანჯარა ცხრილის დასახელებით, რომელშიც მოცემულია ჩვენ მიერ შექმნილი და დასათაურებული ველები (სურ. 95).

6080000 608060	ბეჭ	ბანკის დასახელება	მისამართი
1	3	თი_ში_სი ბანკი	კოსტავას 15
2	2	თიბისპრეზიტაცია	კოსტავას %%
3	0	დუნა	გვასიმიშვილის 2

სურ.95

განვიხილოთ ინსტრუმენტების პანელზე მდებარე დილაკები:


- დამატების დილაკი საშუალებას გვაძლევს ცხრილში ჩავამატოთ ახალი მონაცემი.
- კორექტირების დილაკით შეგვიძლია დავაკორექტიროთ მონიშნული მონაცემი.
- გაუქმების დილაკით ხდება მონიშნული მონაცემის წაშლა.
- ბეჭდვის დილაკი.
- ფილტრის დილაკი. მისი მეშვეობით ხდება მონაცემების გაფილტვრა ველის დასახელების, ფუნქციის ან ოპერაციის მიხედვით (სურ.96).



სურ.96


ფილტრის ღილაკის გვერდით მდებარე შავი პატარა ისრის მეშვეობით ჩამოიშლება ქვემენიუ, საიდანაც შესაძლებელია ფილტრის გაუქმება, ფილტრაცია მონიშნული ველით და ფილტრაციის ისტორიის ნახვა.

 მიების ღილაკით შესაძლებელია საჭირო მონაცემის მოძებნა. გამოსულ ფანჯარაში ძიება ხდება ველისა და მასში მოსაძებნი მონაცემის მითითება (სურ.97). თუ აღნიშნული ჩანაწერი ცხრილში არსებობს, იგი მოიძებნება **OK** ღილაკზე დაჭრით.



სურ.97

 სქემა (აწყობა, დალაგება, სტილი). აღნიშნული ღილაკი გამოიყენება ველების დასალაგებლად, ასაწყობად და სტილის შესარჩევად. ეკრანზე გამოსული ფანჯარა სამი ჩანართისაგან შედგება: აწყობა, დალაგება და სტილი (სურ.98).



სურ.98

აწყობის ჩანართში საშუალება გვეძლევა განვსაზღვროთ შესაძლო ველებიდან რომლები გვინდა ჩანდეს ცხრილის ფანჯარაში. მარცხენა განაყოფში - შესაძლო ველები - მოცემულია ყველა შექმნილი ველის დასახელება.

 გადარჩევის ღილაკის მეშვეობით შეგვიძლია სასურველი ველი გადავიტანოთ განაყოფში გაჩვენოთ ველები.

 მეორე ჩანართში დალაგება, ველების მოძრაობის ღილაკებით შესაძლებელია ველები დავალაგოთ ჩვენთვის სასურველი მიმღევრობით.

ჩანართში სტილი ხდება სტრიქონის სიმაღლის, ფონტის და ველის ფერის შერჩევა. მას შემდეგ, რაც ავირჩევთ ველების განლაგებასა და სტილს, კაჭერთ სქემის დამახსოვრების ღილაკს, ეკრანზე გამოსულ ფანჯარაში ვუთითებო შექმნილი სქემის სახელს. **OK** ღილაკზე დაჭერით ინსტრუმენტების პანელზე გაჩნდება ახალი ღილაკი - სქემების სია, რომელშიც მოცემულია შექმნილი სტილების დასახელებები. საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია ამოვირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი.

თუ მოცემულ ცხრილთან ბევრი ერთთან კავშირით დაკავშირებულია ერთი ან რამდენიმე ცხრილი, გახსნილი ცხრილის ფანჯის, ქვედა ნაწილში ჩნდება შესაბამისი რაოდენობის ჩანართები, რომლებშიც შეგვიძლია შევიტანოთ ცხრილთან დაკავშირებული მონაცემები (სურ.99). აქვე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კავშირის არსებობისას ინსტრუმენტების პანელზე გამოდის ღილაკი - **დაკავშირებული ცხრილები**, რომლის ჩამოშლად სიაში კორექტირებისათვის შეგვიძლია ავირჩიოთ დაკავშირებული ცხრილებიდან ერთ-ერთი.

სტილის სიახლი	რომელი	სახელი	გვარი	დაბ. თარიღი	
3	1		შორის	თეილაზოლი	1.09.1980
2	2		ლელა	აკაცა	1.01.1980
	3		გიორგი	გიორგაძე	3.12.1983

რომელი	კავშირი	სახელი	გვარი	ასაკი	სახსი
1	1	ქეთი	ბალახაძე	12	
2	1	აბიქა	ბალახაძე	3	

სურ.99

იგივე ღილაკი მდებარეობს ქვედა ნაწილში მდებარე დაკავშირებული ცხრილის ინსტრუმენტების პანელზე, ოფონდ იმ განსხვავებით, რომ მასზე დაჭერით გამოდის არჩეული ჩანართის შესავსები ფანჯარა (სურ.100) და არა ყველა დაკავშირებული ცხრილის ჩამონათვალი. თუ გამოსულ ფანჯარას ქვედა მხარეს ერთვის მიბმულია სხვა ცხრილი, მაშინ გამოსულ ფანჯარას ქვედა მხარეს ერთვის მიბმული ცხრილი.


რიცხვი ნომერი	კავშირი გვილები	სახელი	გვარი
1	1	ქათა	ბალახაძე
2	1	აშოთ	ბალახაძე
26	1	ქათონა	დანანახაძ
28	1	ხუბინ	სახლიავაძე

სურ.100

იმისათვის, რომ ვნახოთ და შევავსოთ ჩვენ მიერ შექმნილი ცხრილი, უნდა შევიდეთ მთავარი მენიუს პუნქტში ცხრილები და ავირჩიოთ ჩვენთვის სასურველი მენიუ, ქვემენიუ და ცხრილი. ეკრანზე გამოვა შესაბამისი ცხრილი.

თუ დაგვჭირდება აწყობილ ცხრილში ველის დამატება, მაშინ უნდა გადავიდეთ ცხრილის აწყობის მთავარ ფანჯარაში და უკვე აღწერილი მეთოდით დავამატოთ ახალი ველები. იმისათვის, რომ დამატებული ველი გამოჩნდეს ცხრილის მონაცემების შესავსებ ფანჯარაში, ვაჭერთ მის ისტრუმენტების პანელზე მდებარე სქემის ღილაკს . გამოსული ფანჯარის ჩანართში აწყობა, მარცხენა პანელში, რომელშიც არის ჩვენ მიერ ბოლოს დამატებული ველები, არჩევის ღილაკების გამოყენებით შეგვიძლია სასურველი ველები გადავიტანოთ მარჯვენა პანელში. ამ უკანასკნელში ნაჩვენებია ყველა ის ველი, რომელიც ჩანს ცხრილის შევსების ფანჯარაში. ღილაკზე დაჭერით ჩვენ მიერ არჩეული ველები აისახება ცხრილის შევსების ფანჯარაში.

ცხრილის შევსების ფანჯარაში თაგვის მარჯვენა ღილაკზე დაჭერით გამოდის კონტექსტური მენიუ, რომელშიც მოცემულია ყველა იმ ბრძანებათა ნუსხა (სურ. 101), რომელთა შესრულება შესაძლებელია აღნიშნულ ფანჯარაში. აქვე არის ჩვენ მიერ უკვე განხილული ინსტრუმენტების პანელზე მდებარე ღილაკების ჩამონათვალი.




სურ.101

აღვწეროთ განსხვავებული ღილაკები:

მოქმედებების აღწერის ღილაკი. ეკრანზე გამოდის ფანჯარა „შესასრულებელი ფაილები“ (სურ.102), რომელშიც შეგვიძლია თითოეული

ბრძანების შესრულებამდე ან შესრულების შემდეგ თან დავურთოთ მოქმედებები. აღნიშნული ფანჯარა შედგება ორი ჩანართისაგან: მოქმედებების სია და კველა მოქმედება. პირველი ჩანართის მარცხენა განაყოფში მოცემულია დილაკებისა და ველების დასახელებები, რომელშიც ერთ-ერთის მონიშვნის შემდეგ მარჯვენა განაყოფში ხდება მასზე მოქმედებების მიბმა.




სურ.102

დილაკის “სხვა მოქმედებები” არჩევით და მასზე მოქმედებების მიბმის შემდეგ და OK-დილაკზე დაჭერით ცხრილის შევსების ფანჯარაში ინსტრუმენტების პანელზე გამოდის მოქმედებების სიის დილაკი . მასზე დაჭერით ჩამოშლად სიაში შეგვიძლია ავირჩიოთ ჩვენ მიერ შექმნილი მოქმედებებიდან ერთ-ერთი.

ფანჯრის შესასრულებელი ფაილები მარჯვენა განაყოფი შედგება სამი ჩანართისაგან: მოქმედება, მოქმედების წინ და მოქმედების შემდეგ (სურ.102).

განვიხილოთ ამ განაყოფის ინსტრუმენტების პანელზე მდებარე დილაკები:

- დამატების** დილაკი. ეკრანზე გამოდის **დამატების** ფანჯარა (სურ.103), რომელიც ორი ჩანართისაგან შედგება: ფაილი და ფორმულა. პირველ მათგანში შესაძლებელია მოქმედებაზე გამომავალი ფორმის ფაილის არჩევა
- დილაკის გამოყენებით ან აწყობა, დილაკზე დაჭერით.



სურ. 103

მეორე ჩანართში – **ფორმულა** – ხდება მოქმედებაზე ფორმულის დართვა მასში ცხრილის ველების მონაცემების ჩასმა. აქვე მდებარე ღილაკების გამოყენებით შესაძლებელია ფუნქციების, ცხრილებისა და ველების სის გამოძახება ფორმულაში გამოსაყენებლად.

დამატების ფანჯარაში მდებარე ველში **აღწერა** ხდება მოქმედების დასახელების განსაზღვრა.

 **ქორექტირების** ღილაკით, სტანდარტული მოქმედების გარდა, შესაძლებელია საჭირო ცვლილებების შეტანა მონიშნულ მოქმედებაში.


 მოქმედების გაუქმების ღილაკი.

 **სტანდარტული** მოქმედების დამატების ღილაკი.

 ფორმების აწყობის ღილაკი გამოიყენება ფორმების ასაწყობად.


თუ მოქმედებას ჩავამატებთ მეორე ჩანართში **მოქმედების წინ**, მაშინ იგი შესრულდება სათანადო ბრძანების შესრულებამდე, ხოლო თუ მოქმედება ჩაემატება ჩანართში მოქმედების შემდეგ, მაშინ იგი სრულდება სათანადო ბრძანების შესრულების შემდეგ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ჩანართში მდებარე ღილაკები იმავე დანიშნულებისაა.

განხილული ფანჯრის მეორე ჩანართში **ყველა მოქმედება** მოცემულია ყველა მოქმედების ჩამონათვალი (სურ.104), განსაზღვრულია თითოეული მათგანისათვის სტატუსი, ფაილი/ფორმულა/ბრძანება, აღწერა და იმ ღილაკისა და ველის დასახელება, რომელზეც მიბმულია მოქმედება.



სურ.104

ცხრილის შევსების ფანჯარაში ჩამოშლილ კონტექსტურ მენიუში კიდევ ერთი განსხვავებული ღილაკია - პარამეტრების ღილაკი. მასზე დაჭრით ეკრანზე გამოდის ფანჯარა პარამეტრები. (სურ.105).



სურ.105

პანელში ჩანაწერის დამატება კორექტირების რეჟიმი შეგვიძლია განვსაზღვროთ ჩანაწერის დამატება ან კორექტირება სხვა ეკრანში მოხდეს თუ მიმდინარეში. მეორე პანელში მენიუ საშუალება გვეძლევა გამოვაჩინოთ ან გავაქროთ მთავარი მენიუს დამატებითი პუნქტები: რედაქტირება, ოპერაცია და ინსტრუმენტები. ქვედა მხარეს მდებარე ალმის დაყენებით შეგვიძლია დაკავშირებული ბაზები ვაჩვენოთ მიმდინარე ეკრანში და მონიშნულ ჩანაწერებზე განვახორციელოთ ერთდოროული მოქმედება.

სარჩევი

ლაბორატორიული სამუშაო №1.....	4
პროგრამა “BankNet”-თან მუშაობის საფუძვლები	4
სისტემის პარამეტრები	5
სისტემის მომხმარებლები	7
ლაბორატორიული სამუშაო № 2.....	11
ვალუტა.....	11
ლაბორატორიული სამუშაო № 3.....	14
ანგარიშთა გეგმა	14
ლაბორატორიული სამუშაო № 4.....	23
გატარებები	23
ბალანსგარეშე გატარებები	30
ლაბორატორიული სამუშაო № 5.....	32
ბრუნვები.....	32
ლაბორატორიული სამუშაო № 6.....	40
ოპერაციები.....	40
ლაბორატორიული სამუშაო №7.....	54
ხელფასის უწყისი	54
ლაბორატორიული სამუშაო № 8.....	60
ფორმების აწყობა.....	60
ლაბორატორიული სამუშაო №9.....	69
ცხრილის აწყობა.....	69
სარჩევი	81

იბეჭდება ავტორთა მიერ ფარმოლგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 01.05.2009. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.06.2009. ქაღალდის
ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 5. ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77



ი.მ. „გოჩა დალაქიშვილი“,
ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, კორპ. 333, ბინა 38